





ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი Sylfaen შრიფტით. გადმოიგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანოზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია: გურამ თაყნიაშვილი  
გულნარა სტურუა  
მაია მიქაბერიძე  
მირიან ხოსიტაშვილი  
რუსუდან ასათიანი

ყდის დიზანი გიგი გელაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ლოლა სანაია

დაკაბადონება გელა ბაბაკიშვილი

საქართველოს ბიბლიოთეკა #3(76)2019; გამოიცემა 2000 წლიდან.  
საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული სამსონ ფირცხალავა, ვკ. გაბაშვილის, პირველი ქართული გაზეთის ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელიდან".

ISSN 1512-0880  
www.gela.org.ge



# ალექსანდრე ლორია

## ვულოცავთ იუბილეს

# 85



### მრავალმხრივი შემოქმედი და მკვლევარი

ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, მრავალმხრივ შემოქმედსა და ღირსეულ მამულიშვილს, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარ რედაქტორს ალექსანდრე ლორიას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე მან დიდი წვლილი შეიტანა პროფესიული ბიბლიოთეკარების აღზრდისა და განათლების საქმეში. მის მიერ მონოგრაფიული წესით გამოცემული ნაშრომები სიღრმისეულად აშუქებს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას, ბიბლიოფსიქოლოგიის, საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციასა და მართვის საკითხებს, რომელთა დიდ ნაწილს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.

პროფესორი ალექსანდრე ლორია თანამედროვე საბიბლიოთეკო ცხოვრებაში ცნობილია როგორც ღირსეული აღმზრდელი, მასწავლებელი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი. მის შხატვრულ შემოქმედებას ახლოს იცნობს ქართული მწელობა, მის მიერ აღზრდილი ბიბლიოთეკართა მრავალი თაობა.

ბატონი ალექსანდრეს თანამედროვე სულიერი მდგომარეობა, მუდამ ძიებაში მყოფი გონება დასტურია იმისა, რომ იგი კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს სულიერ სიმხნევას და ჯანსაღ ფიზიკურ მდგომარეობას.

ბატონო ალექსანდრე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, მისი ძალითა და მადლით კიდევ დიდხანს შეგრჩეთ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,  
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია,  
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია,  
ქ. თბილისის პირველი მთავარი ბიბლიოთეკა,  
მე-10 ბიბლიოთეკა-ფილიალის თანამშრომლები.

## რ ე დ ა ქ ც ი ი ს ს ვ ე ტ ი

წინამდებარე ნომერში რედაქცია აგრძელებს სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციის შესახებ მასალების პუბლიკაციას. ბიბლიოთეკარებისათვის კარგად არის ცნობილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში წარმატებით ხორციელდება პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. აღნიშნული პროექტის რეალიზაციამ მკვეთრად შეცვალა სოფლის ბიბლიოთეკების იერსახე, ბიბლიოთეკამ შეიძინა ისეთი ფუნქციები, რომელთა შესრულება შეუძლებელი იყო კომპიუტერული ტექნიკის გარეშე.

ნომერში მკითხველი გაეცნობა სპეციალურ სტატიას, რომელიც ეძღვნება პირველი ქართული გაზეთის გამოსვლიდან 200 წელს. ბიბლიოთეკების როლი და ადგილი ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში - ამ თემას ეძღვნება გ. კილაძის სტატია, სადაც გაანალიზებულია აღნიშნული თემატიკა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 140-ე წლისთავს ეძღვნება ამავე რუბრიკით გამოქვეყნებული სტატიები. აღნიშნული იუბილე მოიცავს მრავალმხრივ საინტერესო პრობლემატიკას. ჟურნალი აქვეყნებს სპეციალურ ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილ მასალებს ამ თარიღთან დაკავშირებით. საბიბლიოთეკო ქსელის თანამედრო-

ვე მდგომარეობის ანალიზს ეხება მასალა, სადაც სტატისტიკური მონაცემებით დახასიათებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობა. ცალკეული მხარეების მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი ქვეყნის მთავარ ბიბლიოთეკას საშუალებას მისცემს, შეადგინოს სტატისტიკურ მონაცემებზე აგებული რეკომენდაციები, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ის ძირითადი მიმართულებები და რეკომენდაციები, რომლებიც უნდა შესრულდეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. როგორც ჟურნალის მკითხველისათვის არის ცნობილი საქართველოს ცალკეულ მხარეებში ვერ მოხერხდა ადრე გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენა, რაც ერთგვარად არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის კონსტიტუციურ უფლებებს.

ნომერში წარმოდგენილი კორესპონდენციები ასახავს თანამედროვე საბიბლიოთეკო ცხოვრებას, ახალი ლიტერატურის შესახებ ინფორმაციებს და იმ მასალებს, სადაც ასახულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ძალისხმევა სოფლად მოქმედი ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების განახლებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვისათვის.

**ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია და მოდერნიზაცია**

**კახა ქორიძე** - მრავალფუნქციური სოფლის ბიბლიოთეკა ..... 3  
**ნანა ჩაბრაძე** - ინტერნეტიზაცია სოფლის ბიბლიოთეკაში ..... 6

**ქართული ჟურნალისტიკის ისტორია**

**შორენა ოსიპოვა** - პირველი ქართული გაზეთი -200 ..... 7

**წიგნის ისტორია**

**ნინო ხვედელიძე** - „ცხოვრებისეული სურათების ილუსტრატორი“ ..... 11

**ქართული ემიგრაცია**

**მარიამ მარჯანიშვილი** - ყოფიერების ამოებით დაღლილის აღსარება ..... 15

**ბიბლიოთეკები და ადგილობრივი ხელისუფლება**

**გიორგი კილაძე** - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფორუმის წევრია ..... 18

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140**

**რუსუდან ნაქაძე** - ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სახალხო ბიბლიოთეკები ..... 21  
**გურამ თაყნიაშვილი** - ბიბლიოთეკის გამგის ტრაგიკული აღსასრული ..... 25  
**გულნარა სტურუა** - მე-19 საუკუნის ქალთა დიდი დედა და მასწავლებელი ..... 28

**საბიბლიოთეკო ქსელი**

**გურამ თაყნიაშვილი, ნანა ქავთარაძე** - სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება ..... 32

**ეროვნული ბიბლიოთეკის სიახლენი**

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრის გახსნა ..... 37

**IREX ინფორმაცია**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი ..... 38

**კოროსპონდენციები**

**მაია მიქაბერიძე** - ჟურნალი „ისინდი“ ..... 40  
**ვაჟაობა - 2019** ..... 43  
**ლია გიგაური** - ჰარუთიუნ (არუთინ) თუმანიანის „აღმოჩენა“ ..... 44  
**ნიკოლოზ მაჭავარიანი** - შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან ..... 47

**რეცენზიები**

**მზია ტოგონიძე** - ნაშრომი ძმები ზუბალაშვილების შესახებ ..... 49  
**მარი ჩაკვეტაძე** - წიგნში გაცოცხლებული ისტორია ..... 51

**ქრონიკა**

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები ..... 54

**ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია და მოდერნიზაცია****კახა ქორიძე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფელ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი

**მრავალფუნქციური სოფლის ბიბლიოთეკა**

ბიბლიოთეკაში მუშაობა 1995 წელს დაიწყო, რაც წიგნისა და ზოგადად წიგნიერების სიყვარულმა განაპირობა, სურვილმა ჩემი მცირედი წვლილი შემეტანა სოფლად მომავალი თაობის წიგნისადმი სიყვარულის საქმეში. ჩემს თაობას გვახსოვს 90-ანი წლების პერიოდი როდენ მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისთვის და აქედან გამომდინარე ადეკვატური იყო მდგომარეობა საბიბლიოთეკო სფეროშიც, განსაკუთრებით კი სოფლის ბიბლიოთეკებში: არამიმზიდველი ინტერირი და ექსტერიერი, ინფრასტრუქტურა, მოძველებული და არასაკმარისი ინვენტარი, ახალი წიგნების ნაკლებობა, არასაკმარისი დაფინანსება; საფრთხის არსებობა, რომ ქვეყანაში სხვა პრიორიტეტებს გადაეფარათ სოფლად ბიბლიოთეკის საჭიროება; ასეც მოხდა - 2010 წელს საქართველოში ხელისუფლებამ მთელს ქვეყანაში განახო-

რციელა ბიბლიოთეკების მასიური გაუქმება. ეს რა თქმა უნდა წყალტუბოსაც შეეხო და 37 მოქმედი ბიბლიოთეკიდან 5 დარჩა, ამ ხუთ ბიბლიოთეკას შორის ერთი ოფურჩხეთის ბიბლიოთეკაც აღმოჩნდა (რაც ალბათ გარკვეულ წილად ჩემი დამსახურებაც იყო). ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა გარემოებებმა ეტეპობრივად დააშორა ბიბლიოთეკა, მკითხველი და წიგნი. შეამცირა ბიბლიოთეკაში მკითხველთა რაოდენობა.

სპეციალობით ინჟინერ ტექნოლოგი ვარ, ტექნოლოგიური სიახლეები, რაც ესე სწრაფად შემოიჭრა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩემთვის უცხო არ ყოფილა, მიზნად დავისახე ბიბლიოთეკაში შემექმნა ისეთი ფიზიკური და ვირტუალური საჯარო სივრცე, რომელიც იქნებოდა ხელმისაწვდომი დ მისაღები ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის, მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შემექმნა სივრცე ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ერთი სიტყვით ბიბლიოთეკა გადამექცია მოსახლეობის კულტურული დასვენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად. ასე რომ, წინ რთული, ხანგრძლივი და შრომატევადი საქმე მელოდა.

პირველი წარმატება ამ კუთხით იყო 2016 წელს თანამშრომლობა მსოფლიო ბანკისა და ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია YISAP; PIN – „ადამიანი გაჭირვებაში“. პროექტის ფარგლებში „წიგნიერება ქვეყნის მომავალია“ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკას გადმოეცა ლეპტოპი, ხოლო ინტერნეტით უზრუნველყო ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ადგილობრივ მმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ბიბლიოთეკას

დამატებითი ფართი შემოვუერთე, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებდა, ამ მიზნით 2017 წელს დავიწყე თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია - თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია „იმერეთი“ და „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ CSRDG - თან. სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი გრანტით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანადაფინანსებით ჩვენს ბიბლიოთეკას გაურემონტდა დამატებითი 50 კვ.მეტრი ფართი სხვადასხვა შეხვედრებისა და ტრენინგებისთვის, გადმოგვცეს ახალი საოფისე ინვენტარი და ორი ლეპტოპი, პარალელურად ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა ახალგაზრდული ცენტრი.

ახლა კი იმ უმთავრეს და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე მინდა ვისაუბრო, რამაც ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროში მიმდინარე პროცესები, ბიბლიოთეკები უფრო მოთხოვნადი და სასურველი გახდა ყველა კატეგორიის მომხმარებელსთვის, გაზარდა ბიბლიოთეკარის მოტივაცია და ხედვა არაპროფესიული კუთხით. ეს არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით და ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, რომელიც დაფინანსდა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით Beyond Access-თან ერთად და საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭო IREX -ის თანადაფინანსებით.

2017 წელს პროექტის ფარგლებში სპეციალური გასაუბრების შედეგად შერჩეულ 15 ბიბლიოთეკარს შორის მეც აღმოვჩინდი.

გავიარე შემდეგი სახის ტრენინგები:

- ტექნოლოგიები საბიბლიოთეკო სივრცეში.
- თანამედროვე საბიბლიოთეკო სერვისები და ბიბლიოთეკის დიზაინი.
- ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი.
- ტრენინგების ტრენინგი. საბიბლიოთეკო ასოციაციამ ოფურჩხე-

თის ბიბლიოთეკას გადმოსცა პერსონალური კომპიუტერი და მრავლფუნქციური ლაზერული პრინტერი.

ტრენინგები, რომელიც პროექტის ფარგლებში გავიარე, ვფიქრობ დროული და აუცილებელი იყო. ამ პროექტით გაიზარდა ჩემი მოტივაცია, ხედვა არაპროფესიული კუთხით. დავრწმუნდი, რომ დღევანდელი ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკარის მოქმედების არეალი გაცილებით უფრო უსაზღვროა, ვიდრე აქამდე ვფიქრობდი, ყოველივე ეს დამეხმარა და მომავალშიც დამეხმარება სხვადასხვა ტიპის სათემო პროექტების განხორციელებაში.

პროექტის ფარგლებში შევიძინე თემის მობილიზატორის და ტრენინგის უნარ-ჩვევები. ვფიქრობ ბიბლიოთეკარისთვის თემის მობილიზატორის პროფესიის შეთავსება საკითხისადმი სწორი მიგნებაა, თუ რა თქმა უნდა სწორადაა შერჩეული საბიბლიოთეკო კადრი და შესაბამისია მისი მოტივაცია. ბიბლიოთეკაში ხომ ყველა კატეგორიის მომხმარებლები მოდიან, აქედან გამომდინარე ბიბლიოთეკარს აქვს წვდომა მათ ინტერესებთან, შეხედულებებთან და სურვილებთან, და თუ შეეცდება შეუძლია გაიგოს თემში არსებული ყოველგვარი პრობლემის შესახებ, შემდეგ კი გაანალიზოს, შეკრიბოს საკითხით დაინტერესებული ადამიანები, მოიწვიოს კომპეტენტური პირები და მათთან ერთად ეძიოს გზები საკითხთა გადასაწყვეტად. ზოგ შემთხვევაში საჭიროების მიხედვით ურჩიოს თუ რომელ უწყებას მიმართონ.

2017 წლის 24-25 ივნისს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტ რუსუდან ასათიანთან ერთად მე და საყულის ბიბლიოთეკარმა – ბეჟან კოლუაშვილმა წყალტუბოს მთავარ ბიბლიოთეკაში ჩავატარეთ ტრენინგი „ბიბლიოთეკა და ტექნოლოგიები“

- ტექნოლოგიები = ცვლილებებს
- ტექნოლოგიები და საბიბლიოთეკო სივრცე
- ინფრასტრუქტურა დ მხარდაჭერა

2017 წლის 26 ოქტომბერს საბიბლიოთეკო ასოციაციის შუამდგომლობით მიკროსაფინასო ორგანიზაცია „კრისტალმა“ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკას გადმოსცა ლეპტოპი,

პროექტორი და ეკრანი.

მონაწილეობა მივიღე საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით გამოცხადებულ მცირე სათემო პროექტების საგრანტო კონკურსში. გამარჯვებულ პროექტებს შორის ერთ-ერთი იყო ჩემი და სოფელ გუბისწყალის ბიბლიოთეკარის ნანა ჩაბრაძის მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადი - „მომავალი ძალადობის გარეშე“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის არაფორმალური განათლების ხელშეწყობას და მათი ცნობიერების ამაღლებას ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა: ოჯახური ძალადობა, ნაადრევი ქორწინება და პოზიტიური მშობლობა. პროექტი განხორციელდა 2018 წლის 16-19 ივნისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოთხ თემში.

2018 წლის მაისში თანამშრომლობა დავიწყე ნორვეგიულ კომპანია „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ სოციალური საკითხების ჯგუფთან, ჩემი მიზანი იყო ბიბლიოთეკის ძირითადი ფართის სრული რეაბილიტაცია, შეგვეძინა ახალი ინვენტარი და ახალი წიგნები. თანამშრომლობამ შედეგი გამოიღო და ამავე წლის 25 სექტემბერს შედგა სრულიად რეაბილიტირებული ბიბლიოთეკის პრეზენტაცია: ახალი ინვენტარით, ახალი ავეჯით, თანამედროვე დიზაინის საბავშვო და სხვა კატეგორიის მკითხველთა დარბაზებით, განახლებული წიგნთსაცავით, 300 ერთეული ქართული და ინგლისურენოვანი ახალი ლიტერატურით.

პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში გავიცანი ბიბლიოთეკარები საქართველოს ყველა კუთხიდან, რომლებთანაც დღესაც თითქმის ყოველდღიურ კონტაქტი მაქვს ინტერნეტის საშუალებით და ჩართული ვართ ერთმანეთის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში. საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის რუსუდან ასათიანის ძალისხმევით საქართველოში შეიკრა ერთი მთლიანი და მოტივირებული ბიბლიოთეკართა ძლიერი გუნდი.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად განეულმა მონდო-

მებამ და შრომამ შედეგი გამოიღო და დღეს ოფურჩხეთის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი გამორჩეულია რეგიონში: ახალი შინაარსი, ახალი მიდგომები და ინიციატივები, მიმზიდველი და სასიამოვნო ინტერიერი, ავეჯი, ახალ წიგნები, უფასო უწყვეტი ინტერნეტი, Wi-Fi, ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი, ოთხი ლეპტოპი და ერთი პერსონალური კომპიუტერი, პროექტორი, ეკრანი, უფასო კომპიუტერული კურსები, ბიბლიოთეკის სამი თანამშრომელი - ეს ყველაფერი ბიბლიოთეკის მომხმარებელთა სამსახურშია. ბიბლიოთეკართა ახალი ხედვა, მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურად შესწავლა და მათი დაკმაყოფილება, სწორედ ეს არის თანამედროვე ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის მთავარი გამოწვევა. ჩვენი ბიბლიოთეკა გახდა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი, თანამედროვე, მობილური და ინფორმაციული ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის, სადაც ადამიანი განივითარებს როგორც ცოდნას და უნარებს, ასევე მოახდენს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ყოველივე ამან ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რაოდენობა წარმოუდგენლად გაზარდა, ბიბლიოთეკა კი უფრო პრიორიტეტული და მისაღები გახდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

ბოლოს მინდა გითხრათ, რომ თუ მოვინდომებთ, ყველაფერი გამოგვივა, მთავარია, ვეცადოთ. მოქმედებას ყოველთვის აქვს აზრი, მჭიდრო კავშირი დავამყაროთ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოვიძიოთ სპონსორები, შევხვდეთ მათ, სწორად ჩამოვაცალიბოთ რას ვითხოვთ მათგან, დავარწმუნოთ ჩვენი მოთხოვნის სისწორეში, აუცილებლობაში და განხორციელების შემთხვევაში მის შედეგებში. მჯერა, რომ ჩვენი მონდომებით, მიზანდასახულობით, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით ბიბლიოთეკები გახდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მრავალფუნქციური, სასურველი და მისაღები ყველა მოქალაქისათვის.



## ნანა ჩაბრაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფ. გუბისწყალის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

### ინტერნეტიზაცია სოფლის ბიბლიოთეკაში



სულ ოთხი წელია რაც ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკა აღდგა და ფუნქციონირებს. აღდგენიდან რამდენიმე თვეში ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ტიპის კომპიუტერული ტექნიკით. მე როგორც ამ ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარს წილად მხვდა პატივი ჩავრთულიყავი იმ შესანიშნავ პროექტებში, რომელსაც საბიბლიოთეკო ასოციაცია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდთან და საერთაშორისო კვლევისა და გაცვლითი საბჭო IREX-თან ერთად ახორციელებდა.

პირველ რიგში გავიარე ტრენინგი “საბაზისო კურსი კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში”, შემდეგ “ელექტრონულ სერვისებში” და რაც ყველაზე მთავარი იყო ჩემი სოფლისათვის „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“.

ამის შემდეგ ჩემთვის და ჩემი ბიბლიოთეკისთვის სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო მე აღარ ვარ „ვინრო ჩარჩოში“ მოქცეული ბიბლიოთეკარი, ეხლა ჩემი მოვალეობა გაცილებით საინტერესო და მრავალფეროვანია. მე შემძლია ჩემი სოფლის მოსახლეობას გარკვეული დახმარება გავუწიო სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ საკითხებში. ახლა ბიბლიოთეკა მოსახლეობისთვის მყუდრო და ნათელი თავშესაფარია.

გასულ წელს მონაწილეობა მივიღე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში, გავიმარჯვეთ და პროექტი ოფურჩხეთის ბიბლიოთეკასთან ერთად შეიქმნა და განხორციელდა.

„მომავალი ძალადობის გარეშე“ ასე ეწოდებოდა ჩვენს პროექტს, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელს მოიცავდა. მონვეულ სპეციალისტებთან ერთად ჩავატარეთ ტრენინგები თემაზე: „ნაადრევი ქორწინება“, „ოჯახური ძალადობა“, და „პოზიტიური მშობლობა, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. გვყავდა უამრავი მსმენელი და რაც მთავარია ძალიან დიდი სურვილი აქვს მოსახლეობას ანალოგიური ტრენინგების ჩატარებისა.

ტრენინგების მეშვეობით გავიცანი და დავიმეგობრე უამრავი ადამიანი საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. გვაქვს ურთიერთობა სოციალური ქსელებით, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, ვმეგობრობთ და მე მეამაყება, რომ ვარ იმ ერთი დიდი ოჯახის წევრი, რომელიც საბიბლიოთეკო ასოციაციამ, მისი პრეზიდენტის ქალბატონ რუსუდან ასათიანის ხელმძღვანელობით შექმნა.

ქართული ჟურნალისტიკის ისტორია

შორენა ოსიპოვა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსი


პირველი ქართული გაზეთი - 200

პირველ ქართულ ნაბეჭდ გაზეთს წინ უსწრებდა ე.წ. ზეპირი გაზეთი, რომლის ტრადიცია საქართველოშიც არსებობდა, თბილისში არსებული ადგილი „სალაყბო“, სადაც ხალხი ინფორმაციის გაცვლის მიზნით იკრიბებოდა. ზეპირი გაზეთის ტრადიცია გვიანამდე შენარჩუნებულია საქართველოში: ხევსურეთში - საფიხვნო, თუშეთში - ბეხვნე, დასავლეთ საქართველოში იგივე ფუნქციას წისქვილი ასრულებდა.

საქართველოში გაზეთის ბეჭდვის პირველი ინიციატორი იყო იოანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ის შვილი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს გამოთქვა ქართული გაზეთის გამოცემის სურვილი. ბატონიშვილი წერდა, გაზეთი თვეში ორჯერ გამოვა - ხალხიც შეჩვევა და შემოსავალიც იქნებაო. სამწუხაროდ, ეს იდეა არ განხორციელებულა.

პირველი ქართული გაზეთი საქართველოში 1819 წლის 8 მარტს დაიბეჭდა სახელწოდებით „საქართველოს გაზეთი“. გაზეთი კვირაში ერთხელ, პარასკევობით გამოდიოდა. ეს იყო კავკასიაში დაბეჭდილი პირველი გაზეთი. 1820 წელს „საქართველოს გაზეთს“ სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა „ქართული გაზეთი“. უცნობია გაზეთის რედაქტორი, სტატიების ავტორი, მთარგმნელი და გაზეთში მომუშავე სხვა თანამშრომლების ვინაობა. სავარაუდოდ, გაზეთში კავკასიის შტაბის მოხელეები თანამშრომლობდნენ. ნოდარ ტაბიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ მთარგმნელად გაზეთში კანცელარიაში მომუშავე თარჯიმანი ნაზაროვი მუშაობდა. თუმცა, დაზუსტებული ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება.

„საქართველოს გაზეთი“, რომელსაც 1820 წელს სახელი გადაერქვა და „ქართუ-



პირველი ქართული გაზეთი - 200

ლი გაზეთი“ ეწოდა, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშივე. გაზეთის მოძიებასა და შეგროვებას ცდილობდა „ივერიის“ რედაქცია. 1887 წლის #156-ში „ივერიის“ რედაქცია მადლობას უხდის სოფიო დოდაშვილს, რომელმაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა 1819 წლის მარტის თვის „საქართველოს გაზეთის“ ერთი ნომერი. 1890 წლის #144-ში გამოქვეყნდა ცნობა: კანცელარიის ჩინოვნიკ ივანე ბაბალოვს

ძველ ქაღალდებში უპოვია 1821 წელს გამოცემული „ქართული გაზეთი“, რომელსაც წმინდა გიორგის გამოსახულება ახლდა. მკვლევრებმა უამრავი ვარაუდი გამოთქვეს პირველი ქართული გაზეთის გარშემო.

ზაქარია ჭიჭინაძე გამოსვლის თარიღად 1817 წელს ასახელებდა და ამტკიცებდა, რომ 1817 წლის 22 აგვისტოს ნომერი საკუთარი თვალთ 3ქონდა ნანახი. გრ. ყიფშიძე „Периодическая печать на Кавказе“-ში წერდა, რომ პირველი გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ 1817 წელს თბილისში დაიბეჭდა და 1820 წლამდე გამოდიოდა, ამას საცენზურო კომიტეტის საარქივო მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებდა. გრიგოლ ყიფშიძის მტკიცებით, სიონის ტაძართან არსებულ საეკლესიო მუზეუმში გაზეთის 1818 წლის #25 ინახებოდა. თუმცა მის მიერ მოყვანილი შინაარსიდან ჩანს, რომ საუბარია 1819 წლის აგვისტოს ნომერზე. „ქართულ გაზეთს“ გრ. ყიფშიძე და ზ. ჭიჭინაძე სხვა გამოცემად თვლიდნენ და მისი გამოცემის თარიღად 1821 წელს ასახელებდნენ.

„საქართველოს გაზეთის“ შექმნა ა. ერმოლოვის სახელს უკავშირდება. სანქტ-პეტერბურგის არქივში შემონახულია დოკუმენტი, რომელიც ერმოლოვმა პეტერბურგში გაგზავნა. დოკუმენტში საუბარია გაზეთის გამოცემის მიზნებზე. ერმოლოვი ამტკიცებდა, რომ გაზეთი საქართველოს მაცხოვრებელთა ინტერესებისთვის იქმნება, რომ ადგილობრივ მოსახლეობას განათლებულ ხალხთა ჩვეულებები გაეცნოთ. დოკუმენტში საუბარი არ არის რუსეთის ცარიტულ ინტერესებზე, თუმცა მითითებულია, რომ ეს პერიოდული ორგანო კავკასიის შტაბის კორპუსში იხსნება, რაც თავისთავად მკაცრ ცენზურას ნიშნავდა.

გაზეთის გამოცემას წინ უძღვოდა „გამოცხადება“, რომელიც თბილისში და საქართველოს მაზრებში გავრცელდა. გამოცხადება წარმოადგენდა თავისებურ პროგრამას. გაზეთის გამოცემა ქართულ ენაზე 1819 წლის 1 მარტიდან იგეგმებოდა და უნდა შესულიყო შემდეგი პუნქტები:

1. მოხელეთა დაჯილდოების შესახებ;
2. ადგილობრივი მმართველის განწესებები და ბრძანებები;

3. საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ამბები;

4. მსოფლიო სიახლეები და აღმოჩენები;

5. ამონარიდები რუსული პრესიდან, რომლებიც ადგილობრივებისთვის საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო;

6. გაზეთის გამოცემა იგეგმებოდა კვირაში ერთხელ 1820 წლის იანვრამდე;

7. ბოლო პუნქტში გამომცემლები იმედს გამოთქვამდნენ, რომ გაზეთის ხელისმომწერნი კმაყოფილები დარჩებოდნენ როგორც შინაარსით, ასევე გაზეთის დროული მიწოდებით. გამომცემლები ტექსტის ბოლოს აღნიშნავდნენ, რომ გამომწერთა რიცხვი ნათელყოფს, თუ რამდენად დიდი იქნება ინტერესი გაზეთის მიმართ.

გამოცხადების ტექსტის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „საქართველოს გაზეთი“ ოფიციალური ორგანო იყო, რომელშიც პოულობდა ასახვას იმპერიაში მიმდინარე მოვლენები, ამიტომ დღეს უცნაურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ გაზეთი ქართულ ენაზე გამოდიოდა. ევგენი ვეიდენბაუმი ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნის: „რუსული ენა იმ დროს იმდენად ნაკლებად გავრცელებული იყო ქალაქის მაცხოვრებელთა შორისაც კი, რომ თავად-აზნაურების წარმომადგენელთა უმეტესობას, რომლებიც საქართველოს უმაღლესი მთავრობის ექსპედიციებში მსახურობდნენ, არ შეეძლოთ თავისი გვარის რუსულად დაწერა.“ მთავარმართებელი ერმოლოვის სურვილი, ეზიარებინა ახალი ქვეშევრდომები რუსული ხელისუფლების წესებისთვის იმდენად დიდი იყო, რომ მან საბოლოოდ გაზეთის მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე ბეჭდვა გადაწყვიტა. ვეიდენბაუმი აგრეთვე გვანვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ გაზეთი თავდაპირველად რუსულად იწერებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. ამის დასტურად მას კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის არქივში დაცული დოკუმენტები მოჰყავს. კავკასიის შტაბში ინახებოდა საქალაქად „1820 წელს შემოსული ქართული გაზეთის ჟურნალი“, მასში ინახებოდა 1820 წელს დაბეჭდილი „საქართველოს გაზეთის“ რუსული ხელნა-

წერი ვარიანტი. მ. გოცაძის აზრით, „მას (გაზეთს) აშკარად თარგმნის ხელი ეტყობოდა და ცხადია, არც იდგა შესაფერის დონეზე.“

მართლია „საქართველოს გაზეთის“ უპირველესი დანიშნულება ცარიელტული პროპაგანდა იყო და მთავრობა დაინტერესებული იყო მისი გამოცემით, მაგრამ იგი საჭიროებდა გარკვეულ სახსრებს. ამიტომ გაზეთს დაედო მინიმალური ფასი, რომელიც ქალაქისა და ბეჭდვის ხარჯებს აანაზღაურებდა. გაზეთის გამოსაცემად აუცილებელი იყო არანაკლებ 500 ხელმომწერის შეგროვება. როგორც ჩანს, ერმოლოვს გაზეთის გამოცემის ხელმძღვანელობა სამოქალაქო გუბერნატორ რომან ხოვენისთვის დაუვალებია. გუბერნატორს ყველა მხრის მმართველისთვის მიუმართავს თხოვნით, შეეგროვებინათ გაზეთის გამომწერები, იგივე თხოვნით წერილობით მიუმართავს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლ კონსტანტინე მუხრანბატონისთვის. თავდაპირველად გაზეთის ფასად დასახელდა 2 რუბლი თბილისელებისთვის და 2 რუბლი და 1 აბაზი (20 კაპიკი) რეგიონებისთვის, ეს იყო საფოსტო ხარჯი, თუმცა ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და გამოცემის საბოლოო წლიური ფასი 3 მანეთი გახდა. მაგრამ ეს მცირე თანხაც ძვირი იყო იმდროინდელი ქართველი მოსახლეობისთვის. მარტის თვისთვის 500 ხელმომწერა ვერ შეგროვილა. „საქართველოს გაზეთის“ 1819 წლის №3 დაიბეჭდა ცნობა, რომ გაზეთის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სომეხთა არქიეპისკოპოს ნერსისის დახმარება, რომელსაც ბოლო კვირას მოუგროვებია თანხა ასზე მეტი გამომწერისგან. „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი ერთი კვირის დაგვიანებით, 8 მარტს გამოვიდა.

გაზეთის ფორმატი, შრიფტი და ზოგადად, მისი გარეგნული მხარე იმ პერიოდისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო. გამოცემის ფორმატი დაახლოებით თაბახის ფურცლისოდენა იყო, იბეჭდებოდა ორ სვეტად. შრიფტი მკვეთრი და ადვილად გასარჩევია, თუმცა გაზეთის ენა 1820 წლამდე უფრო არქაული იყო, რაც, სავარაუდოდ, ხაზს უსვამდა მის ოფიციალურ

მხარეს. 1820 წლიდან გაზეთის სათაურთან იბეჭდება გველეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის გამოსახულება. გაზეთს შეეცვალა სახელი და „ქართული გაზეთი“ ეწოდა. შესაძლოა, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რიგი მკვლევრებისა, მაგალითად, გრიგოლ ყიფშიძე სახეშეცვლილ გამოცემას სხვა გაზეთად თვლიდა. გაზეთი „ივერია“ ასე ახასიათებს „ქართულ გაზეთს“: „დაბეჭდილია მშვენიერის ასოებით სქელ ქალაღზე და სიდიდითაც საწერი ქალაღის თაბახს ძალიან აღემატება“. გაზეთის სახელწოდების, გარეგნული მხარის, ასევე მისი ენის ცვლილებას მკვლევრები რედაქტორის შეცვლას უკავშირებენ.

„საქართველოს გაზეთის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული სტატიები ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს გაზეთის დანიშნულების შესახებ. პირველი ნომრის პირველი ცნობა შეეხება პეტერბურგის სამეფო კარზე ახალი წლის აღნიშვნას, ხოტბას ასხამს იმპერატორს, მის სამხედრო ძლიერებას და ყოველივე ეს ძალიან საზეიმოდ და გულწრფელი აღფრთოვანებითა და თაყვანისცემით არის მოთხრობილი.

გაზეთი შემდგომ წლებშიც არ ღალატობს აღებულ გეზს, რუსეთის სამეფო კარის ცხოვრება, პეტრე პირველის საგმირო საქმეები და საიმპერატორო კარის სხვა ამბები კვლავაც ფართო ასახვას პოულობს საგაზეთო სტატიებში. საინტერესო და საგულისხმოა 1819 წლის №18-ში გამოქვეყნებული ცნობა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ვაჟის, დავითის გარდაცვალების შესახებ. ამ ცნობამ თითქოს წერტილი დაუსვა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის იმედს.

გარდა სამეფო კარის ამბებისა, გაზეთში იბეჭდებოდა უმაღლესი ბრძანებულებები, გამოცხადებები, უცხოეთის ამბები და შერეული მასალები.

დღევანდელი გადმოსახედიდან საქართველოში გამოშვალ გაზეთს პირველ რიგში საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები უნდა აესახა. მაგრამ, „საქართველოს გაზეთის“ შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო. 1819-1820 წლის იმერეთ-გურიის აჯანყებების შესახებ ცნო-



ბა გაზეთში არ დაბეჭდილა. გაზეთში ასევე ქვეყნდებოდა ცნობები კავკასიის ომის შესახებ, სადაც რუსული ჯარი მშვიდობისმოყვარის როლშია და მხოლოდ მის საგმირო საქმეებზეა გამახვილებული ყურადღება. ჩრდილოკავკასიელები კი, რომლებიც თავისი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მეამბოხე ყაჩაღებად არიან წარმოჩენილი. საგულისხმოა აგრეთვე ცნობები თურქეთის შესახებ, მაგალითად, გმირებად არიან გამოყვანილი თურქეთთან მებრძოლი ბერძნები...

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდა სააშკარაოზე არ გამოეტანა ქვეყანაში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, დღევანდელი მკითხველისთვის შემადრწუნებელია აქ მოყვანილი განცხადებები, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ქართველი თავად-აზნაურობა უკიდურეს ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, მამულები ვალების გამო იყიდება. მძიმე საკითხავია განცხადებები ყმების გაყიდვის შესახებ, იყიდებოდნენ ცალ-ცალკე და მთელი ოჯახები. ხშირად ქვეყნდებოდა განცხადებები გაქცეული ყმების შესახებ, მოყვანილია მათი ფიზიკური დახასიათება. ფაქტობრივად, ადამიანი პირუტყვივით ყიდვა-გაყიდვის საგნად იყო ქცეული. აქვეა განცხადებები დეზერტირი ჯარისკაცების შესახებ. როგორ ჩანს, ცნობები ძლევამოსილი რუსული ჯარის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

პირველ ქართულ გაზეთში იბეჭდებოდა აგრეთვე შერეული ამბები, რაც ალბათ სახალისო საკითხავი უნდა ყოფილიყო, ეს ამბები ძირითადად უცხოეთს შეეხებოდა, მაგალითად, როგორ ჩააქრეს ხანდა-

რი რძით, იბეჭდებოდა ცნობები ას წელს გადაცილებული ადამიანების შესახებ, აგრეთვე მოყვანილია ევროპული ენებიდან თარგმნილი ანეკდოტები. გაზეთში აგრეთვე დაიბეჭდა იმ დროს პოპულარული სენტიმენტალური მხატვრული ნაწარმოებები: „მოთხრობა ქალის მარიამისა“, „ამბავი უფლისა დელამოტისა“. სენტიმენტალური ჟანრის ეს ნაწარმოებები მაღალი მხატვრული ღირებულებით ვერ დაიკვეხნის. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი რეალობისგან ყურადღების გადასატანად დაუბეჭდავთ.

1819 წელს გამოვიდა გაზეთის 43 ნომერი, 1820 – 51, 1821 წლის კომპლექტს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია, ამიტომ დაზუსტებით ვერ ვიტყვით, რამდენი ნომერი გამოიცა. 1822 წელს, გოროდოვოის დიდი ძალისხმევით მიუხედავად, საჭირო რაოდენობის ხელმომწერების შეგროვება ვერ მოხერხდა. ვეიდენბაუმის ცნობის მიხედვით, თბილისში მხოლოდ 19 ხელმომწერი მოგროვილა, ამ სიაში პირველ ადგილზე ვინმე ივანე ყორღანოვი ყოფილა ჩანიშნული. ვეიდენბაუმი თავის „Кавказские этюды“-ში წერდა, რომ „საქართველოს გაზეთმა“ ვერ გადალახა გულგრილობა განათლებისადმი, რომელსაც ხალხს ა. ერმოლოვი უქადაგებდა. ამ წინადადებაში გარკვეული სარკაზმი იგრძნობა.

მიუხედავად მრავალი ნაკლოვანებისა, „საქართველოს გაზეთი“ საქართველოს ჟურნალისტიკის ისტორიაში შევიდა როგორც ქართული გაზეთის შექმნის პირველი მცდელობა. ფასდაუდებელია ამ გამოცემაში დაბეჭდილი მასალები, რომლებიც ქართველების ყოველდღიურ ყოფას აღწერს.

## წიგნის ისტორია

### წიგნის ხვედელიძე

### „ცხოვრებისეული სურათების ილუსტრატორი“

ყველა, ვისაც კი თუნდაც ერთხელ ჩაუხედავს წიგნმცოდნეობით ლიტერატურაში ან საერთოდ, რაიმე კუთხით შეხება ჰქონია წიგნის ბეჭდვის ისტორიასთან, ყველას ექნება ნანახი გრაფიკების ციკლიდან ერთი გრაფიკა მაინც, რომელზეც ასახულია წიგნის ბეჭდვის პროცესი მეტექსტუალური საუკუნის სტამბაში. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს ილუსტრაცია იმდენად შთამბეჭდავია, რომ ის დიდხანს რჩება ადამიანის მეხსიერებაში.



იოსტ ამანი (1539-1591)

ამ არაჩვეულებრივი ქსილოგრაფიკების ავტორი გახლდათ ცნობილი შვეიცარიელი მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი, მესტამბე-გამომცემელი და XVI საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე ნაყოფიერი გრაფიკორი იოსტ ამანი. იგი დაიბადა 1539 წლის 13 ივნისს ციურიხში, ლოგიკისა და ენა-

თმეცნიერების პროფესორის ოჯახში.

მშობლებმა ბიჭუნას აღზრდა ყრმობიდანვე დაიწყეს. მან კარგი განათლება მიიღო. დღემდე შემორჩენილია წიგნი - „ნამდვილი რელიგიის ძირითადი არსი“, რომელიც თორმეტი წლის ამანისათვის უჩუქებია მის მასწავლებელსა და გამოცემის ავტორს - ოტო ვერდმიულერს. წიგნს ახლავს სასაჩუქრე მიძღვნის ტექსტი: „მორიდებულ და ბეჭით ახალგაზრდა იოსტ ამანს“.

ყმაწვილი გამოყენებითი ხელოვნების საფუძვლებს დაეუფლა ბაზელში, ლუდვიგ რინგლერის სახელოსნოში, სადაც სწავლობდა შუშაზე ფერწერული ნამუშევრის ხატვას. მისი პირველი ნახატები შესრულებული იყო წიგნით მოვაჭრის ფროშაუერის დაკვეთით. იმ პერიოდის ნამუშევრები მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. გაცილებით მეტია მაინის ფრანკფურტში ამანის მიერ სპილენძისა და ხის საგრაფიკო დაფებზე შექმნილი ნახატები, რომლებსაც იგი ზიგმუნდ ფაიერაბენდის (1528-1590) საგამომცემლო ფირმისათვის ამზადებდა.

1560 წელს იოსტი ნიურნბერგში გადავიდა და ვირგილიუს სოლისის (1514-1562) სახელოსნოში მოეწყო ოსტატად. მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ ამანი გამომცემლობას ჩაუდგა სათავეში და ნიურნბერგშივე დარჩა მთელი ცხოვრება.

მაინის ფრანკფურტში, 1568 წელს ზიგმუნდ ფაიერაბენდმა გამოსცა წიგნი სათაურით „Eygentliche Beschreibung aller Stände auff Erden hoher und nidriger, geistlicher und weltlicher, aller Künsten, Handwerken und Händeln...“ – „ზუსტი აღწერილობა დედამიწაზე არსებული მაღალი და დაბალი სასულიერო და საერო წოდების, ყველა პროფესიისა და ხელობის, ხელოვნების დარგებისა და საქმიანობების“ შესახებ. გამოცემის დასახელებით თუ ვიმსჯელებთ, ის ტექნოლოგიური ინსტრუქცია გვეგონება, სინამდვილეში ეს პოეტური კრებულია. ლექსების ავტორი – გერმანელი პოეტი ჰანს საკსი



**ზიგმუნდ ფეიერბენდის (1528-1590)**

(1494–1576) გახლავთ. ნიურნბერგში მენაღვთა ერთ-ერთი სახელოსნოს ოსტატი კარგად უთავსებდა მწერლობას თავის საქმიანობას. იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749–1832) მის პოეზიას „დიდაქტიკურ რეალიზმად“ მოიხსენიებდა.

ნიგნი საჩუქარია, რომელიც ზიგმუნდ ფეიერბენდმა თავის მეგობარს ვენცელ გომიცერს მიუძღვნა დაბადების 59 წლის იუბილესთან დაკავშირებით. გამოცემა იწყება მიძღვნის ტექსტით და იქვეა განთავსებული ჭაღარა წვერულვაშიანი იუბილარის პორტრეტიც.

ნიგნის მხატვრულ გაფორმებაზე იზრუნა იოსტ ამანმა. საინტერესოა ამ გამოცემის ბეჭდვის თავისებურება: ტექსტი და ილუსტრაციები დაბეჭდილია ფურცლის წინა მხარეს, უკანა მხარე კი დატოვებულია დაუბეჭდავად.

ყოველ ფურცელზე განთავსებულია ერთი და იგივე ზომის (80x60 მმ.) გრავიურა. ფურცლის ზედა მხარეს ანუ გრავიურის თავზე მსხვილი გოთური შრიფტით დაბეჭდილია პროფესიისა და საქმიანობის დასახელება. გრავიურის ქვემოთ კი „გოთიკური ფრაქტურით“ აკრეფილია ლექსის სტროფები. იქვე, ლექსის ქვემოთ განთავსებუ-

ლია სიგნატურა, მის მარჯვენა მხარეს კი - კუსტოდი. გამოცემაში, როგორც წესი, ისინი ერთდროულად არ გამოიყენებოდა, მაგრამ ამ ნიგნში კუსტოდი გამოყენებულია არტიკლის გადატანისათვის, რომლითაც იწყება პროფესიის ან საქმიანობის დასახელება.

ნიგნის ფუნქციონალური მნიშვნელობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იოსტ ამანი ჰანს საკსის თანაავტორად გვევლინება, რადგან გამოცემის დანიშნულება არა მხოლოდ მისი წაკითხვა, არამედ მისი ქსილოგრაფიურების დათვალიერებაც არის.

„ზუსტი აღწერილობა ...“ აწყობილია იერარქიის მიხედვით და იწყება რელიგიური მოღვაწეებით: პაპი, კარდინალი, ეპისკოპოსი, მოძღვარი, ბერი, იმპერატორი, მეფე, თავადი, დიდგვაროვანი და ა.შ. მხატვარი-გრავიორი ყველაზე დიდ ყურადღებას აქცევდა პერსონაჟის ჩაცმულობას. თუმცა ეტყობა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო გარემო, რომლის ფონზეც ის პერსონაჟებს გამოსახავდა. ნიგნის გმირები ხშირად ქალაქის ან სოფლის პეიზაჟის ფონზე არიან გამოსახულნი. ზოგიერთი ილუსტრაცია მრავალფიგურიანია - მაგალითად, გრავიურა, რომელზეც რომის პაპია გამოსახული.

გრავიურებისა და პოეზიის შემდეგი ციკლი ეძღვნება სწავლულთა პროფესიებს: დოქტორი, აფთიაქარი, ასტრონომი, პროკურატორი (კანონმდებელი).



**ჰანს საკსი (1494-1576)**

„ზუსტი აღწერილობა...“ მოიცავს რამდენიმე თავს და მისი ამეტყველებული გრავიურები ხაზს უსვამენ მხატვრის ფართო ინტერესებსა და გარემომცველი სამყაროს სრულყოფილ ცოდნას. მხოლოდ ამ პროფესიების ჩამონათვალიც მრავლისმეტყველია: „ფერმწერი“; „შუშის ჩამომსხმელი“; „შუშის მომხატველი“; „ოქრომჭედელი“; „ვაჭარი“; „ოქროს ფურცლის მწარმოებელი“; „მონეტების ოსტატი“; „ტყავის ქამრების ოსტატი“; „მცხობელი“; „მონადირე“; „მზარეული“; „ლუდის მხარშავი“; „მკერავი“; „მქსოველი“; „ქსოვილის მღებავი“; „მეჭუდე“; „კბილის ექიმი“; „მენალე“; „დალაქი“; „სათვალის ოსტატი“; „მჭედელი“; „ზეინკალი“; „მესაათე“; „მომღერალი“; „მევიოლინე“ და სხვა.

მომდევნო ციკლი მკითხველს აცნობს წიგნის ბეჭდვის საქმესთან დაკავშირებულ პროფესიებს: შრიფტჩამომსხმელს, ტექსტის ამწყობს, წიგნის მხატვარს, გრავიორს, ქალაქის მწარმოებელს, მბეჭდავს, ამკინძველ-დამყდავებელს. პოლიგრაფიული პროფესიები განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი და პირველ რიგშია განთავსებული, რითიც გამომცემელი ხაზს უსვამდა მათ მნიშვნელობას. იგი მკითხველს დაწვრილებით უჩვენებს პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს და საჭირო ხელსაწყო-დანადგარებს: გრავიურებზე გამოსახავს საბეჭდ დაზგას, შრიფტთა კასას, შრიფტჩამომსხმელისა თუ ამკინძავის ხელსაწყობებს.

გამოცემის ბოლო თავი „ბრიყვებს“ ეძღვნება, რომელშიც ავტორები წარმოგვიდგენენ „ფულიან ბრიყვს“; „მოვაჭრე ბრიყვს“; „მსუნაგ ბრიყვსა“ და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, მხატვრის მიერ წარმოდგენილი სამყაროს დეტალური სიზუსტე. ქსილოგრაფიურები ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ტექნიკის ისტორიის მკვლევართათვის. სწორედ ამის გამო, მის გრავიურებს დაწვრილებით იკვლევენ ძველი მატერიალური კულტურის მკვლევარნი.

1588 წელს, იოსტ ამანი დაუბრუნდა წიგნის თემატიკას. მან შეასრულა ნიურნბერგელი მესტამბის ლეონგრად ხოისლერის დაკვეთა და სათამაშო კარტების დასაბეჭდად წიგნის შექმნის თემაზე მოამზადა 52 ქსილოგრაფიურა - „Charta Lusoria“, რომლებ-

## Der Buchdrucker.



*Ich bin geschicket mit der press  
So ich aufftrag den Firniß reiß/  
So bald mein dienr den bengel zuckt/  
So ist ein bogh pappre gedruckt.  
Da durch kombt manche Kunst an tag/  
Die man leichtlich bekommen mag.  
Vor zeiten hat man die bücher gschribn/  
Zu Meins die Kunst ward erstlich triebn.*

„Eygentliche Beschreibung...“ 1568

ზეც ასახული იყო ტექსტის აწყობის, წიგნის ბეჭდვის, აკინძვის, დაყდავების პროცესი. ბარათებზე დეკორატიული ელემენტების სახით წარმოდგენილი იყო წიგნის შექმნისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღები და თვით ბეჭდური პროდუქცია. ეს ერთგვარი რეკლამაც გახლდათ და ხელს უწყობდა ნაბეჭდი წიგნის პოპულარიზაციას.

წარმოშობით შვეიცარიელმა იოსტ ამანმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი გერმანიაში, წიგნის ბეჭდვის სამსახურში გაატარა. მხატვარი მე-16 საუკუნის მეორე ნახევარის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული გრავიორ-გამომცემელი გახლდათ. მისი ნამუშევრები და წიგნები უხვად გამოდიოდა და განმეორებით იბეჭდებოდა, მათ შორის ჭარბობდა ისტორიული და სამედიცინო შინაარსის გამოცემები. სპილენძზე შესრულებული გრავიურების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევდა, კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო ხეზე შესრულებული გრავიურების რაოდენობა, მათი უმრავლესობა მის მიერ არ იყო გაკეთებული. იოსტი ძირითადად მხატვარი გახლდათ, მისი ილუსტრაციები კი გრავიურის ენაზე გადაჰყავდა მრავალრიცხოვან შეგირდებსა და დამხმარე-



ებს. ზოგჯერ ის თვითონაც იღებდა ხელში საჭრეთელს. ასეთ შემთხვევაში გრავიურაზე საკუთარ მონოგრამას ტოვებდა - „I.A“. მისი შესრულებული ნამუშევრები ფორმის სისრულით, სისუფთავითა და კვეთის ელეგანტურობით გამოირჩეოდა.

1586 წელს იოსტ ამანმა გამოსცა წიგნი „ქალბატონის ოთახში“- მაღალი და დაბალი წოდების ქალბატონების მშვენიერი ტანისამოსისა და აქსესუარების შესახებ. ამ წიგნისათვის მან შექმნა 122 ქსილოგრაფიურა. გამოცემა გახლდათ იმდროინდელი მოდის თავისებური გამოცახილი და ახალი სიტყვა პოლიგრაფიულ ხელოვნებაში.

მხატვრის გამოცემებს შორის ყველაზე ცნობილია 1565 წელს გამოცემული „Kriegsbuch“ – „სამხედრო სახელმძღვანელო“, რომლის ავტორი სამხედრო ექსპერტი ლეონგრად ფრონსპენგერი (1520-1575) გახლდათ. საინტერესოდ ილუსტრირებული წიგნი 1571-1573 წლებში რამდენჯერმე გამოიცა. იგი მოგვიანებით ანისიმ რადიშევსკიმ გამოიყენა რუსულ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოცემაში.

იოსტ ამანი 1591 წლის 17 მარტს ქალაქ ნიურნბერგში გარდაიცვალა. მისი შემოქმედების შესახებ ხელოვნებათმცოდნე და საგრაფიურო ხელოვნების ისტორიკოსი პაულ კრისტელერი წერდა: ეს მხატვარი „მისთვის დამახასიათებელი უხეში მანერით ქმნიდა ცხოვრებისეულ სურათებს და არასოდეს აკეთებდა სხვისი ორიგინალების ასლებს“. კრისტელერი თვლიდა, რომ მხატვრის „როგორც კომპოზიციაში, ასევე ფორმებში მსუბუქი იტალიური რენესანსული მანერიზმის სტილი ბატონობდა“.

იოსტ ამანმა ორმოცდაათამდე სხვადასხვა წიგნი დაბეჭა. მისი მიერ გამოცემული წიგნები გამოდიოდა მდიდულად და გემოვნებით გაფორმებული სატიტულე გვერდებით, რომლებიც ლამაზი ჩარჩოებით, მდიდრული ორნამენტებითა და ალევორიული ფიგურებით იყო დამშვენებული. ისინი შექმნილი იყო ერთი მთლიანი საგრაფიურო დაფით და არ იყო შედგენილი ცალკეული ზოლებისა და ნაკუნებისაგან, როგორც ამას სხვა მესტამბე-გრაფიორები აკეთებდნენ.

დიდი ფორმატის მქონე წიგნების გარდა, ის ბეჭდავდა მცირე ზომის გამოცემებს, რომლებიც განკუთვნილი იყო მოსახლეობის ფართო მასებისათვის.

## Der Formschneider.



*Ich bin ein Formen Schneider gut/  
Als was man mir für reiffen thut/  
Mit der federn auff ein form bret  
Das schneid ich denn mit meim geret/  
Wenn mans den druck so find sich scharff  
Die Bildnuß/wie sie der entwarff/  
Die stehe/denn druck auff dem pappyr/  
Künfftlich denn auff zustreichen schier.*

„Eygentliche Beschreibung...“ 1568

იოსტ ამანი დაინტერესებული იყო არა კლასიკური სიძველეებით, არამედ თანამედროვეობით, ამის გამო მის გრაფიურებზე დამთვალეიერებელი ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სურათებს ხედავდა: გლეხების, მონადირეების, მწყემსებისა და ღარიბების ყოფას. ამასთან იგი ბუნებრიობისა და ჭეშმარიტების დიდი მოყვარული გახლდათ. ამანის შემოქმედება შეესატყვისება მისი დროის ესთეტიკურ კანონებს, ამიტომ მისი გრაფიურები, არა მხოლოდ მხატვრის სიცოცხლეში, არამედ მისი სიკვდილის შემდეგაც ბევრჯერ გამოიცა. ამ გრაფიურებმა დიდი გავლენა მოახდინა გამოყენებითი ხელოვნების მრავალ სახეობაზე, მის კომპოზიციებს კი ინტენსიურად ამრავლებდნენ.

### ლიტერატურა:

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М. – 1990. – ч. 2.
2. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. . – М.; Л., 1926.
3. История книги. – М.; Л., 1926.
4. Книговедение : Энциклопедический словарь / Редкол.: Н.М. Сикорский (гл.ред.), О. Д. Голубева, А.Д. Гончаров и др. – М., 1982.

## ქართული ემიგრაცია

**მარიამ მარჯანიშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი

### ყოფიერების ამაოებით დაღლილის აღსარება (ემიგრანტთა ეპისტოლეების მიხედვით)

ნერილი I

ყოველი მოაზროვნე ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც წარსულს შეფასების თვალთ გადახედავს და თავის თავს ჰკითხავს: რას წარმოვადგენ გონებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით? ბუნებრივია, ეს კითხვები მაშინ იბადება, როდესაც ჯელობის უგუნური საქციელი უკვე წარსულს ეკუთვნის, როდესაც ძალ-ღონით სავსე ყველაზე ენერგიული შეტევა უკვე განხორციელებულია და ყოველივე, რასაც მიაღწიე საკუთარ თვალში უკვე ნაკლებად მყარი და ღირებულია.

სწორედ, ყოფიერების ამაოების დამლული ფიქრით შეპყრობილ კაცის ერთ უცნაურ სიყვარულსა და სულიერ მარტობაზე უნდა გიამბოთ.

იგი ქართლის დიდ გვარიშვილთა ემიგრანტულ ცხოვრებაში ჩაისახა... მათი უსაზღვრო ფიქრები და განცდები აბობოქრებულ ზღვასა ჰგავდა... ზღვას, რომელიც ქუხილითა და გრგვინით ეხეთქებოდა ნაპირს... ისინი ღმუოდნენ, შფოთავდნენ, ქვითინებდნენ, იბრძოდნენ სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის... აბორგებულ ზღვათა მსგავსად მათი სიყვარული საკუთარ ბედს ორთაბრძოლაში მწვავედ იწვევდა...

„... „დონჟუანი“, „ლოველასი“, ქართულად - არშიყი ან უფრო დაბალი ხარისხისა, - მუსუსი, არასოდეს ვყოფილვარ. ეს, იმას კი არ ნიშნავს რომ ბერად ვყოფილიყავი, ან სურვილი მქონოდა ბერობისა. ასე მგონია, სრულებით ნორმალური კაცი ვიყავი ამ მხრივ; ოღონდ, როგორც უკიდურესად აქტიური ბუნებისა ყველაფერში და აღზრდის გარემოებათა გამო, შეიძლება აქაც ცოტა მეტადა მქონდა განვითარებული ქალისადმი (და არა ქალებისადმი) მისწრაფება...

... 1926 წელს დოდო პარიზში ჩამოიყვა-



დოდო ამილახვარი

ნეს, - 14 წლისა იყო და ჩვენ ოჯახში შვილივითა გვყავდა, - რაკი მთელი მისი ოჯახი ჩვენი მეგობრები იყვნენ (თუმცა მისი ნათესავები ყოველთვის გვაფრთხილებდნენ: „დაანებეთ თავი, ყველანი გიჟები არიან“-ო). მართლა ცოტა „უცნაურები“ იყვნენ და განსაკუთრებით პათიოსნები, კეთილშობილები, ნიჭიერები, მაგრამ გაუნათლებლნი სრულიად. დოდოს, მამის სიკვდილი და და-ელიკას თვითმკვლელობა, საშინლად აწუხებდა, თავი მახინჯი ეგონა და სიცოცხლე ეზარებოდა... სულ თავის მოკვლაზე ლაპარაკობდა“ (პარიზი. 2/1/1968 წ.).

ეს ჩაკეტილი და ტკივილიანი გოგონა, რომელიც შემდგომ მამაკაცის უსიხარულო ცხოვრების ერთადერთი სიხივი გახდა, XIX

საუკუნის გამოჩენილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწის, გენერალ ივანე ამილახვრის ვაჟის, პოლკოვნიკ გიორგი ამილახვარის შვილი გახლდათ. მან, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწემ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისთანავე ცოლ-შვილთან ერთად სამშობლო დატოვა.

1922 წელს გიორგი ამილახვრის მრავალსულიანი ოჯახი პარიზში დამკვიდრდა. უფროსმა შვილმა ბაზორკამ 1926 წელს ნარჩინებით დაამთავრა სან-სირის ცნობილი სამხედრო სასწავლებელი, რომელიც საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სამხედრო სკოლად ითვლებოდა. აქედან დაიწყო მისი 16 -წლიანი სახელოვანი სამხედრო კარიერაც საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. 1934 წელს ლეიტენანტი ამილახვარი აგადირის ზემდეგთა პროფესიული მომზადების სკოლის უფროსად დაინიშნა, ხოლო 1940 წლის მაის-ივნისში ნარვიკის ცნობილ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის საბრძოლო ჯვრით დაჯილდოვდა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კი სიდი-ბელ-აბუსში (ალჟირი) შექმნილ მე-13 ნახევარბრიგადაში ჩაირიცხა. გერმანელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციისთანავე უცხოური ლეგიონის მაიორი დიმიტრი ამილახვარი ლონდონში „თავისუფალ საფრანგეთის“ არმიას შეუერთდა, სადაც თავი ისახელა ქალაქების მასაუსა და დამასკოს ალებისას. 1941 წელს მას პოლკოვნიკის (კოლონელის) სამხედრო წოდება მიენიჭა.

გენერალმა დე გოლმა მხედრული წარმატებისათვის ამილახვარი უმაღლესი ნიშნით - „გათავისუფლების ჯვრით“ დააჯილდოვა. იგი ელ-ალამეიმის ბრძოლის დროს 1942 წელს გმირულად დაიღუპა.

გიორგი ამილახვრის მეორე ვაჟი კონსტანტინე ამილახვარი ფრანგული არმიის რიგითი ჯარისკაცი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც ფეხების მოყინვით გარდაიცვალა.

„დოდო პირველ ხანებში გვეცოდებოდა, მაგრამ, თანდათან მის კარგ თვისებებს რომ ვხედავდით, შვილივით შეგვიყვარდა



რეზო გაბაშვილი

და მე მის აღზრდას შეუდექი, რაკი ძმებმა, რომ იტყვიან, - „ქვა მიაგდეს“. „ჩემი მეთოდი“ იმაში იყო, რომ ვართობდი, ვაცინებდი, ცხოვრების სილამაზეებზე ველაპარაკებოდი, ვასწავლიდი, და, რაც მთავარია, ვარწმუნებდი, რომ სრულებითაც მაიმუნი არ არის, და, თუ მოისურვებს, თუ სილამაზეებს ამა ქვეყნისას დააკვირდება, - ყვავილებს, სურათებს, წიგნებს, მუზეუმებს და სხ. და სხ., თვითონაც თანდათან გალამაზდება. იცინოდა, მაგრამ, როცა მალე დედაც მოუკვდა და ძმებიც შემოეფანტნენ, მთლად ობოლი დარჩა, - ნამდვილად შეიშალა“ და კვლავ თავის მოკვლა ჰქონდა გულში...

მაშინ „იძულებული გავხდი დოდოს ძმებისთვის მიმემართა: „უპატრონეთ თქვენ და-ძმას, თორემ დაიღუპებიან...“

ბაზორკამ „დათუშა და დოდო ფულის მეტს არაფერსა მთხოვენ ხოლმე, რამდენიც შემიძლიან ვუგზავნი და სხვა რა უნდა, ან რა ვქნა“-ო.

„ბაზორკა“ ანუ დიმიტრი 1906 წელს დაიბადა ბაზორკინოში, რომელიც დაბადების ადგილის მიხედვით იწოდებოდა „ბაზორკად“.

- კოტიკამ მიპასუხა: „მე გვარიც გამოვიცვალე, ამილახვარი აღარა ვარ, ჩემი თავისთვის ვერ მომივლია. თვითონ მოუარონ თავსა“-ო.

ობლობა, და-ძმების უდროო სიკვდილი მასში ისეთ გრძნობას აღვიძებდა, რომ წინასწარმეტყველურად ხედავდა მასაც მსხვერპლი უნდა გაეღო...

ყმანვილი ქალი მელანქოლიკი და მარტოსული გახდა. სიკვდილს ჩაჰყურებდა სულის უფსკრულში და იქ შორეული ზეციური ქვეყანა ელანდებოდა. მისი სული იყო შეშლილი, დაღლილი და ნალვლიანი. მას თვითმკვლელობა და სიკვდილის სიახლოვე უფრო მეტად ალაგზნებდა. დოდო ამილახვრის ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკა ბავშვობიდანვე იყო ტრავმირებული. რადგან საქართველოს გასაბჭოების დღიდან ბოლშევიკებმა განსაკუთრებული სისასტიკით დაიწყეს ამილახვართა გვარის ამოჟლეტა. ისეთივე მეთოდებით, როგორც იმპერიალისტური რუსეთის ჟანდარმერიამ გაგარინის სიკვდილის გამო დადეშქელიანების სისხლის ტბორი დააყენა.

საერთოდ, ოჯახური გარემო, აღზრდა, ახლობელთა წრე, მარცხი თუ წარმატება, სიხარული თუ ტრაგედია, „პირველადი ტრავმები თუ შემდგომი პერიპეტიები აღიბეჭდება ფსიქიკის ფირზე, რჩება მესხიერებაში და ცოცხლობს.

განსაკუთრებით ეს ეხება, როგორც გამლიზიანებელთ, სულიერ ტრავმებსა და ცალკეულ ფიზიკურ და ფსიქო-ნერვულ დაავადებებს, რომელთა მეშვეობით ამოძრავდება და გააქტივდება ინსტიქტები...

„ ... ვიღაც „ეგვიპტელმა პრინცესამ“ დოდო და მაია (იგულისხმება კოკი დადიანის ქალიშვილი) გასართობად შვეიცარიაში წაიყვანა. მე ჩემებური წერილი მივწერე და გასაოცარი ცვლილება მოხდა. ისეთი წერილი მომწერა და თავისი სურათი გამომიგზავნა, - ვერ იცნობდით ამ „მონყენილ გოგოს“, უკვე მეთექვსმეტე წელში მყოფს. „ბატონო რეზო, ერთად-ერთი ჩემი მფარველი მეგო-

ბარი თქვენა ხართ... მართალს რომ მეუბნებოდით: აქაურ სილამაზეებს რომ ვუყურებ, - მთებს, წყლებს, წყაროებს, ასე მგონია მეც ვლამაზდები-ო... აი, ამ ჩანჩქერთან ვატარებ თითქმის მთელ დროს, სულ თქვენზედა ვფიქრობ და ამ „პულოვერს“ გიქსოვთ... მთელ ჩემ სითბოსა და ოცნებას შიგ ვაქსოვ“-ო. შეყვარებული ქალის წერილსა ჰგავდა. შემეშინდა... ჩამომიტანა „პულოვერიც“, სურათებიც, მკოცნიდა, მეალერსებოდა... „ჩემი ძმაც, მამაც, მეგობარიც თქვენა ხართ“-ო“.

აშკარა იყო, ობლად დარჩენილი ასული მისი ფიქრების, გრძნობების წყნარ და მშვიდობიან ნავთსაყუდელს ეძებდა, რომელიც გულში ჩაიკრავდა, მოეფერებოდა და დაამშვიდებდა...

ამ დროს კი უკვე 44 წლის ვაჟკაცს ავიზმანება აეკვიატა. მის სულში ნორჩი გოგონას დანახვისთანავე დემონმა დაისადგურა და გალაკტიონის ახმიანებულმა სტრიქონებმაც მოსვენება დაუკარგა:

„ ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვია  
ჭალარა გულის ზმანება ავი, -  
ჩაანყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,  
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი...“  
(„ცამეტი წლის ხარ“, 1916)

ერეკლე II-ის მიერ ქართლ-კახეთიდან განდევნილი გაბაშვილები, ქუთაისში რიონის მარცხენა მხარეზე, დღევანდელ გაბაშვილების გორაზე დამკვიდრებულნი, მისი უახლოესი ნათესავები და მოგვარეები გახლდნენ, რომლებთანაც სტუმარობისას ჯერ კიდევ ჯელობაში გაიცნო ქუთაისში გალაკტიონი და სულის ამაფორიაქებელი მისი პოეზია.

სიჭაბუკის ძალთა აზვირთებით შეუდგა მამაკაცი, დოდოსაგან პიგმალიონის მსგავსად სპილოს ძვლისაგან ულამაზესი ქალწულის გამოკვეთას, როდესაც აფროდიტემ ოცნება აუსრულა, ქანდაკებას სული ჩაუდგა, პიგმალიონმა შეიყვარა და შეირთო იგი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ბიბლიოთეკები და ადგილობრივი ხელისუფლება

გიორგი კილაძე

### საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „ღია მმართველობის პარტნიორობას“ (OGP) ფორუმის წევრია

გ. კილაძის წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაწილეობას „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფორუმში. ბიბლიოთეკარები გაეცნობიან სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობაში. სტატიაში გაანალიზებულია პარტნიორობის მაგალითები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობაში. ცხადია, ასეთ ფორუმში არ შეიძლება არ მონაწილეობდეს ოზურგეთის საჯარო ბიბლიოთეკები. ავტორი აგრძელებს აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობას და მომდევნო წერილებში უფრო თვალსაჩინოდ იქნება წარმოდგენილი საჯარო ბიბლიოთეკების როლი და დანიშნულება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფორუმებში.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფორუმის წევრი გახდა.

დარწმუნებული ვარ, ბევრმა ჩემმა კოლეგამ კარგად იცის რას წარმოადგენს OGP, რა მნიშვნელობა აქვს OGP-ის ფარგლებში ძირითადი პრინციპების (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა და ტექნიკური განვითარება) განხორციელებას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, რა დიდი შესაძლებლობები აქვს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ამ პრინციპების დამკვიდრებაში და მაინც. თავს უფლებას ვაძლევ კოლეგებს კიდევ ერთხელ ვისაუბრო OGP-სა და OGP – საქართველოს ფორუმის შესახებ.

„ღია მმართველობის პარტნიორობას“ (OGP) საფუძველი 2010 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩაეყარა. სწორედ ასამბლეის ტრიბუნიდან მოუწოდა იმდრო-

ინდელმა აშშ-ს პრეზიდენტმა ქვეყნების ლიდერებს მეტი პასუხისმგებლობა აეღოთ მთავრობების საქმიანობის ღიაობაზე, კორუფციასთან ბრძოლასა და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლებაზე.

დღეისათვის „ღია მმართველობის პარტნიორობაში“ 75 ქვეყანა მონაწილეობს, სასიხარულოა, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელიც OGP შეუერთდა (2011 წ).

2017 წელს საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თავმჯდომარე ქვეყანა გახდა და ამ ფუნქციამ, ერთი წლის განმავლობაში წარმატებით შეასრულა.

OGP ანგარიშვალდებულებებზე დამყარებული პროგრამაა და აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ქვეყნებს შიგნით და გარეთ პარტნიორობას გულისხმობს. ქვეყნებს შორის პარტნიორობის საინტერესო მაგალითს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, (საკრებულო, მერია), ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციისა („ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“, „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“, „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, პარტნიორობით აღებულ ზოგიერთ ვალდებულებასა და უკვე მიღწეულ მთავარ შედეგზე ქვემოთ ვისაუბრებ, ახლა კი OGP – საქართველოს ფორუმის შესახებ ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

„ფორუმი“ ღია მმართველობა საქართველოს საკონსულტაციო მექანიზმია, შექმნილია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (საბჭო) ფარგლებში და აქვს სამი ძირითადი ამოცანა.

1. ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის საკითხებზე წინადადებებისა და

რეკომენდაციების შემუშავება, სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების მონაწილეობითი პროცესის ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება;

2. სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და **მონიტორინგი** (ხაზგასმა ჩემია გ.კ.). შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების მომზადება და სამდივნოსთვის წარდგენა;

3. ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სწორედ, ამ მნიშვნელოვანი ფორუმის სრულფასოვანი პარტნიორია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ბუნებრივია, თავად ფაქტით და პირადად ჩემი მონაწილეობით სამართლიანად ვამაყობ.

სტატიის დასკვნით ნაწილში კოლეგებსა და მკითხველებს აღებულ ვალდებულებებსა და მიღწეულ შედეგებზე ვესაუბრები.

წინასწარ შევნიშნავ: ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებებს საფუძვლად დაედო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივა „თვითმმართველობა განათლებისთვის“.

ინიციატივის „თვითმმართველობა თავდაპირველი მიზანი შემდეგნაირად განისაზღვრა: „მოქალაქეობრივი ცნობიერების პროცესში სასკოლო (სამოქალაქო) განათლების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელების მიერ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსების გამოყენებით.

აღნიშნული ინიციატივა არ ითვალისწინებდა :

1. ახალი რესურსების შექმნასა და შექმნილის რეორგანიზაციას;

2. ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელთა უშუალო ჩართვას საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებში.

ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებაში ინიციატივა „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ხორციე-

ლდება სამი მიმართულებით:

I. საინფორმაციო-საგანმანათლებლო;

II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსების გაცნობა და შექმნა;

III. ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდიდან მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გადასვლა და ღრმა ძიების ჩატარება.

მიამაჩნია, დღეისთვის სამივე მიმართულებით დადებითი ტენდენციები შეინიშნება:

კერძოდ,

I. საინფორმაციო-საგანმანათლებლო მიმართულებით:

1. ჩატარდა სათემო შეხვედრები;

2. ჩატარდა შეხვედრები საჯარო სკოლაში;

მნიშვნელოვანია სათემოს შეხვედრების რაოდენობა (20-ზე მეტი) და მონაწილეთა რაოდენობა (400-ზე მეტი);

მნიშვნელოვანია საჯარო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების ორ ეტაპად დაგეგმა/განხორციელების პროცესი:

ეტაპი I (დასრულდა წარმატებით)- 4 საჯარო სკოლა (მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 100 ადამიანი. მათ შორის სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და უფროსკლასელები);

ეტაპი II დაიგეგმა და შესრულდება სექტემბრის თვეში. მათ შორის ერთ-ერთ საჯარო სკოლა ე.წ. „მოქმედების კვლევის“ (Action research) მიზნით).

მნიშვნელოვანია შეხვედრების სრულყოფილი ორგანიზება ;

მნიშვნელოვანია შეხვედრის მიმდინარეობა:

1. თვითმმართველობის არსის გაცნობა;

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დანერგილი მოქალაქეთა ჩართულობის ინსტრუმენტების

გაცნობა;

3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსის არსებული და სამუშაო ვერსიის გაცნობა.

II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული რესურსების

გაცნობა და შექმნის მიმართულებით:

მნიშვნელოვანია ციფრულ ბიბლიოთეკა „მამარდაშვილში“ კოლექცია „თვითმმართველობის! შექმა, სამი ქვეკოლექციით

1. OGP (თემატური კატალოგი შეიცავს 1 დოკუმენტს), - განთავსდება OGP სამდივნოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, პარტნიორი ორგანიზაციების მოწოდებული ციფრული რესურსები (წიგნები, სტატიები...)

2. თვითმმართველობა 1 (თემატური კატალოგი შეიცავს 12 დოკუმენტს.), - განთავსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის შერჩეული „ძირითადი“ ციფრული ;

3. თვითმმართველობა 2 (თემატური კატალოგი შეიცავს 7 დოკუმენტს); განთავსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის შერჩეული „დამხმარე“ ციფრული .

მნიშვნელოვანია სამივე ქვეკოლექცია განთავსდება ახალ სერვერზე, ახალი პროგრამული უზრუნველყოფით..

მნიშვნელოვანია ქვეკოლექცია OGP -ში განთავსებულია ციფრული რესურსი : "მუნიციპალური მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება (სამუშაო შესრულების მენეჯმენტის სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის) განთავსება (ინტერნეტ სივრცეში არ იძებნება ციფრული ანალოგი. ტექსტი აწყობილია ტექსტური ვერსიიდან);

III. ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდიდან მუნიციპალიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გადასვლა და ღრმა ძიების ჩატარების მიმართულებით:

შეიქმნა საძიებო სისტემის მოდელი საბიბლიოთეკო პროგრამისთვის Greenstone 3.08-ისთვის:

1. შესაძლებელი იქნება ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ყველა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გადასვლა,

2. ღრმა ძიების ჩატარება google-ს საძიებო სისტემის გამოყენებით.

3. გვერდი ასევე უზრუნველყოფს იმ არასამთვრობო ორგანიზაციების ვებგვერდებზე გადასვლასა და ძიების ჩატარებას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულნი არიან OGP ვალდებულებების შესრულებასთან ან/და თვითმმართველობების საქმიანობასთან.

და ბოლოს, თავს ვალდებულად ვთვლი, აღვნიშნო: სტატიის დასკვნითი ნაწილი წარმოადგებს ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის ჩემ პირად შეფასებას და სრულად აისახება ზემოთ აღნიშნული მონიტორინგის შუალედურ და საბოლოო შედეგებში.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - 140

### რუსუდან ნაქაძე

#### წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სახალხო ბიბლიოთეკები

სახალხო ბიბლიოთეკების გახსნას ხელს უწყობდა განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული 1890 წლის 13 მაისის დადგენილება „უფასო სახალხო სამკითხველოებისა და მათზე ზედამხედველობის წესების შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების მიხედვით, ბიბლიოთეკებს თავიანთ ფონდში უნდა ჰქონოდათ წიგნები, რომელიც დაშვებული იყო განათლების სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო საბჭოსა და სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს მიერ.

ქართული ჟურნალ-გაზეთები სათანადო ადგილს უთმობდნენ ბიბლიოთეკების გახსნას რუსეთის გუბერნიებში და ხაზგასმით აღნიშნავდნენ მოსახლეობის კეთილგანწყობას ამ კეთილშობილურ საქმეში.

სახალხო ბიბლიოთეკების გახსნით საზოგადოების გამგეობა ითვალისწინებდა ორ გარემოებას: პირველი- ბიბლიოთეკების გახსნა ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში წერა-კითხვის პროპაგანდას, მეორე- უამრავი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, მატერიალური ფასეულობანი, რომელიც მოსახლეობაში იყო გაფანტული, თავს მოიყრიდა ბიბლიოთეკებში და ამით დიდი ეროვნული საქმე გაკეთდებოდა. თავდაპირველად, წკს გამგეობის წევრები წინააღმდეგნი იყვნენ სახალხო ბიბლიოთეკებისათვის გამოყოფილი თანხები გაედიდებინათ, მაგრამ მალევე დარწმუნდნენ, რომ ბიბლიოთეკებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხში ცოდნის გასავრცელებლად.

გახსნა რა სახალხო ბიბლიოთეკები, საზოგადოების გამგეობამ, ამით ეროვნული საქმე გააკეთა. წკს მიერ გახსნილმა ბიბლიოთეკების რიცხვმა 200 მიაღწია.

ბიბლიოთეკების გახსნას ხელს

უწყობდნენ როგორც გამგეობის წევრები, ისე ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები. სამაგალითოდ დავსახელებთ ი. გოგებაშვილს, აკ. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს, ივ. მაჩაბელს. ზ. ჭიჭინაძეს.

საზოგადოების წინაშე სახალხო ბიბლიოთეკების დაარსების საკითხი ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა დასვა 1892 წლის 25 თებერვალს. გამგეობამ მიიღო დადგენილება, მთავრობის წინაშე აღედრა შუამავლობა ნებართვისათვის და გამოჰყო კომისია ი. გოგებაშვილის, ან. წერეთლისა და გ. იოსელიანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა- რა სახით, ვისი საშუალებით, რა ლიტერატურა იქნებოდა საჭირო ასეთი ტიპის ბიბლიოთეკების გასახსნელად. კომისიამ იმავე წლის 3 მარტს გამგეობას წარუდგინა თავისი მოსაზრებები „ აზრი კომისიისა სახალხო ბიბლიოთეკების გამართვის შესახებ“.

1907 წელს წკს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე ი. ჭავჭავაძის მეუღლემ ოლღა ჭავჭავაძემ გამგეობის სხდომას მოახსენა, რომ მეუღლის ანდერძით, საგურამოს მამული და თბილისში, ანდრეევის ქუჩაზე მდებარე სახლი ქმნ საზოგადოების კუთვნილება ხდებოდა. ამ გარემოებამ წამოჭრა აზრი, რომ ბიბლიოთეკა და მუზეუმი ილიას სახლში გადაეტანათ.

1892 წლის 20 მაისს გამგეობა თბილისის გუბერნატორს სთხოვს, გასცეს მონობა სახალხო ბიბლიოთეკის გამგე-პასუხისმგებელი პირის ან. წერეთლის სახელზედ. ამავე წლის 31 მაისს ქართველ ქალთა წრის მიერ შეგროვებული 124 წიგნისა და რამდენიმე ჟურნალის ბაზაზე თბილისში გაიხსნა ბიბლიოთეკა წერა-კითხვის გამავრცელებელი



ბელი საზოგადოების სახელით

ქარვასლაში ბიბლიოთეკის გახსნას თანაბრად მოწონებით შეხვდა .თბილისის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება და ხელმოკლე მოსახლეობა.. გაზეთი „კვალი“ხაზგასმით მოიხსენებდა ხალხის მხარდაჭერას ბიბლიოთეკისადმი. წლის ბოლოს ბიბლიოთეკას 1000-მდე წიგნი გააჩნდა, დარბაზმა 2135 მკითხველს გაუწია მომსახურება.

ეს იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელთან დაკავშირებული პირველი იაფფასიანი ბიბლიოთეკა. მკითხველთა უმეტესობას მოსწავლეები, ვაჭრები და მოსამსახურენი წარმოადგენდნენ. უმთავრესად, მოთხოვნა მხატვრულ ლიტერატურაზე იყო.

ბიბლიოთეკაში ან. წერეთლის მიერ ბიბლიოთეკარად მიწვეული იყო ელენე ანტონოვსკაია. 1898 წლიდან , მის დახურვამდე, ბიბლიოთეკარად მუშაობდა ნადეჟდა დეკანოზიშვილი. 1895 წელს ბიბლიოთეკას 49 მკითხველი- ხელისმომწერი ჰყოლია., დარბაზი კი 461 მკითხველს მომსახურებია.

1896 წელს ბიბლიოთეკას 395 ბიბლიოგრაფიული ერთეული დამატებია და ფონდს 1500 ეგზემპლარისათვის მიიღწევია, დარბაზით მოსარგებლე კი 4500 ადამიანია.

1905 წლის რევოლუციურმა კრიზისმა ბიბლიოთეკებზეც იმოქმედა, გამგეობა ველარ ახერხებდა პერიოდული გამოცემების გამოწერას და ბიბლიოთეკარისათვის ჯამაგირის გადახდას..1910 წლის 2 ივნისის სხდომაზე ,რაკი გამგეობამ გამოსავალი ვერ იპოვა, ბიბლიოთეკის დახურვა საჭაროდ სცნო.

1894 წლის 4 თებერვალს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თბილისის გუბერნატორს სემიონოვს შესახვევის 2 ნომერში, ქართველიშვილის სახლში,მეორე იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა და პასუხისმგებელ პირად ან. წერეთლის დამტკიცება სთხოვა.

ბიბლიოთეკის გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვაგ. კარბელაშვილმა მან ისაუბრა ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე და აღნიშნა ან. წერეთლის დიდი ამაგი ბიბლიოთეკის დაფუძნებაში.

1895 წელს ბიბლიოთეკა გადაიტანეს საბჭოს ქუჩაზე, მჭედლიძის სახლში, რადგან სემიონოვს სახლი ნესტიანი აღმოჩნდა.

1897 წლიდან ბიბლიოთეკა კვლავ იცვლის მისამართს- ვარდის ქუჩაზე , ბოგატროვის სახლში გადაიტანეს, თუმცა ბოგატროვის უარის შემდეგ ოლღას ქუჩაზე, ისაკაძის სახლში მკვიდრდება.

1898 წლიდან ბიბლიოთეკას ამშვენებს აბრა წარწერით:“მეორე ქართული სახალხო სამკითხველო იაფფასიანი“.

1902 წლიდან ამ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ მიიწვიეს ნატალია პოპიაშვილი.

1915 წელს ბიბლიოთეკამ უკანასკნელად გამოიცვალა მისამართი და წყნეთის ქუჩაზე გადავიდა., მერკვილაძის სახლში.

1921 წელს ეს ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდს შეუერთდა.

მესამე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომლის გახსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ განიზრახა, იყო ნაძალადევის ბიბლიოთეკა.

ამ პერიოდში მუშაობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალბატონი მარიამ დემურია, სწორედ მისი თაოსნობა იყო მუშათა უბანში პირველი ბიბლიოთეკის გახსნა.

1905 დეკემბერს მ. დემურიამ განცხადებით მიმართა გამგეობას ნაძალადევი ბიბლიოთეკის გახსნის თაობაზე. თხოვნა კარგა ხანს გაჭიანურდა, რადგან გუბერნატორს მუშათა უბანში ბლიოთეკის გახსნისა ეშინოდა. საქმეში ილიაც ჩაერია და 1901 წელს , 5 ივნისს გუბერნატორმა ნებართვის მოწმობას ხელი მოაწერა.

1901 წლის 24 ივნისს ბიბლიოთეკა ნაძალადევი საზეიმოდ გაიხსნა, ილია ეტლით მობრძანებულა, მისალმებია საზოგადოებას და ბიბლიოთეკისათვის ოქროს თუნიანი შეუწირავს.

1910 წელს გარდაიცვალა ბიბლიოთეკის მზრუნველი და გამგე მარიამ დემურია. იგი წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და მოწინავე ინტელიგენციამ ცხარე ცრემლით დაიტირა.

1912-13 წლებში, მიუხედავად ხელმოკლეობისა, ბიბლიოთეკა განაგრძობდა მუშაობას. 1916 წელს ბიბლიოთეკას განაგებ-

და ნინო ქორიძე. ბიბლიოთეკა მუშაობდა 1918 წელსაც. 1919 წელს, უსახსრობის გამო, ბიბლიოთეკამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ფონდი ნაძალადევის მუშათა კლუბთან არსებულ სამკითხველოს გადაეცა.

1896 წელს, 29 დეკემბერს ქუთაისში, ჭილაძის სახლში, ქალაქის ინტელიგენციის თანდასწრებით, საზეიმოდ გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომელსაც გაბრიელ ქიქოძის სახელი ეწოდა..

გაზეთი „კვალი“ იუნყებოდა: „უფასო წიგნთსაცავი და სამკითხველო, დაარსებული გაბრიელ ეპისკოპოსის სამახსოვროდ, დიდად სასარგებლო აღმოჩნდა.. დიდი თუ პატარა ხალხით მიისწრაფის მისკენ, როგორც კი დროს იშოვის.“

ბიბლიოთეკას ბაქოს ქართველობამ 150 მანეთი შესწირა. 1899 წლისათვის საბიბლიოთეკო ფონდი 2200 ერთეულს აღწევს.

საზოგადოების გამგეობის იმედები გამართლდა - ბიბლიოთეკა მოკლე დროში საზოგადოების თვითგანათლების ცენტრად იქცა.. იყო დღეები, როდესაც, ხალხმრავლობის გამო, ბიბლიოთეკის ფონდი მკითხველთა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

1897 წელს ბიბლიოთეკამ მიიღო როგორც ფულადი, ასევე წიგნებით: მ. ვოლსკიმ შესწირა 72 მანეთი, ეკ. ნიკოლაძემ - 44 მანეთი, ი. ოცხელმა - 2 მანეთი. წიგნებით დაასაჩუქრეს ბიბლიოთეკა აკაკიმ, ეკ. გაბაშვილმა, დ. კლდიაშვილმა. ს. ხუნდაძემ, გ. მაისაშვილ-ზდანოვიჩმა, ქუთაისელმა ნოქრებმა შესწირეს 45 მანეთი.

ბიბლიოთეკის ფონდი 1899 წლისათვის 2200 ერთეულია. შავი ქვის მწარმოებელთა საზოგადოებამ ბიბლიოთეკისათვის 500 მანეთი გაიღო.

იმავე წელს ბიბლიოთეკას 240 მუდმივ მკითხველზე .7 171 წიგნი გასცა, დარბაზში მიმსვლელ მკითხველთა რაოდენობამ 11645 კაცს მიაღწია.

1902 წლისათვის ფონდში უკვე 3400 ბიბლიოგრაფიული ერთეული იყო.

1903-1905 წლებში ბიბლიოთეკას 726 მუდმივი მკითხველი ჰყავდა და მათზე 15260 წიგნი გასცა, ხოლო დარბაზში 18408-ჯერ მისულ მკითხველს მოემსახურა. მალე ფონ-

დმა 5000-ს გადააჭარბა და უკვე სამ ოთახში განათავსეს. ამ დროისათვის ე. ჭინოშვილი, რაკი მარტო ველარ ართმევდა თავს საბიბლიოთეკო საქმეს, ბიბლიოთეკარად ი, დარახველიძეს იწვევს.

1909 წელს შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება ზდანოვიჩის, ოცხელის, ფანცხავას, ბაქრაძის, ხუნდაძის მონაწილეობით.

ქუთაისის გაერთიანება რაჭისა და ლეჩხუმის მახრებს ეპატრონებოდა.. 1911 წელს ქუთაისის განყოფილებამ გახსნა ბიბლიოთეკები სიმონეთში, ხრესილში, სვირში, სუფსაში, ქვიტირში, მუხიანში, ხოლო 1913 წელს დამატებით წყალტუბოსა და გუბში.

შემდეგი ბიბლიოთეკა უდემი უნდა გახსნილიყო უდე უდიდესი კულტურული ტრადიციების სოფელია, რომელიც კარგა ხანს იმყოფებოდა თათართა ბატონობაში ბიბლიოთეკის გახსნა ხელს შეუწყობდა სოფელში წერა-კითხვის შესწავლას.

მე-19 ს-ის 80-იანი წლებიდან უდე ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სოფელია, სადაც 800-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა და ნახევარზე მეტმა ქართული არც იცოდა. უდეს მახლობლად მდებარეობს სოფლები ვალე და არალი, ერთში 1300, მეორეში 530 მცხოვრებით. უდემი ბიბლიოთეკის გახსნა სამივე სოფლისათვის ხელსაყრელი იყო.

უდეს ბიბლიოთეკის დამაარსებელი არიან: პავლე, ივანე და მიხეილ მერაბიშვილები, პეტრე და გრიგოლ ალაშოვები.

1897 წლის 1 ივნისს ივ. მერაბიშვილის სახლში გაიხსნა ბიბლიოთეკა 190 ცალი ქართული და 5 რუსული წიგნის ბაზაზე. ბიბლიოთეკას გახსნისთანავე გამოუჩნდნენ ქომანგი და თანამგრძნობნი და წლის ბოლოს ფონდი 300-მდე ბიბლიოგრაფიულ ერთეულს ითვლიდა.

წ.კ.გ. საზოგადოებისათვის მიწერილ წერილში უდელი ახალგაზრდები მადლიერებით აღნიშნავენ: „სოფელ უდეს ახალგაზრდობა არასოდეს დაივიწყებს ამ სიკეთეს, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებამ მოგვანიჭა ჩვენ და გაგვიხსნა აქ სამკითხველ-წიგნსაცავი 1 ივლისს, 1897 წელსა“.

1905 წელს, რევოლუციის დროს ბიბლი-

ოთეკის მუშაობა შეფერხდა, „შემოსავალი კაპიციც არ გვექონდა, ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა ივანე პავლეს ძე მერაბიშვილმა.“- წერდა სამზრუნველო კომიტეტი

1905 წელს, რევოლუციის დროს, ხიფათის აცილების მიზნით, ბიბლიოთეკა დაიხურა. სანდო მკითხველებს წიგნებს შინ ატანდნენ. ბიბლიოთეკას კვლავ ივანე მერაბიშვილი ინახავს.

1912 წელი ძალიან ნაყოფიერი იყო ბიბლიოთეკისათვის ამ წელს სახლში 915 წიგნი გაიცა, დარბაზი კი 976 მკითხველს მოემსახურა. ბიბლიოთეკა ივანეს სახლიდან მისი დის - სოფიოს სახლში გადაბარგდა 1913 წელს ბიბლიოთეკა დაიხურა

1916 წელს ბიბლიოთეკას ნ.კ.გ საზოგადოების ახალციხის განყოფილება უდგება სათავეში და მის განახლებას იწყებს. 1919

წელს გამგეობას ვინმე ბოლქვაძისაგან მოხსენდა, რომ ბიბლიოთეკა პირწმინდად გაანადგურა სერვერ ბეგის ბანდებმა.

საქართველოს სოფლებში ბიბლიოთეკების დაარსება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ფასდაუდებელი ღვაწლია.

**ლიტერატურა:**

ჩხიტუნიძე თ. - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, 1980.

ხუნდაძე ტ. - ნარკვევი სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951.


ლორია ალ. , გურგენიძე ნ. - საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში, 1974.

## გურამ თაყნიაშვილი

## ბიბლიოთეკის გამგის ტრაგიკული აღსასრული

1951 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან ჟანდარმერიამ გაიყვანა ამავე მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე, 80 წელს მიღწეული სამსონ ფირცხალავა. მიზეზი მისი დაპატიმრებისა გახლდათ მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება მისი კეთილდღობისათვის.

სამსონ ფირცხალავა დაიბადა 1872 წელს ხონის რაიონის სოფ. მათხოჯში. 1893 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, 1898 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მსახურობდა ქუთაისსა და ჭიათურაში. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1893 წლიდან. 1901-1902 წწ. მუშაობდა „ივერიის“ რედაქციაში. იყო საქართველოს სოციალისტურ-ფედერაციული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1902-1910 წლებში მოღვაწეობდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებაში მდივნად და საქმეთა მმართველად. 1910 წელს ს. ფირცხალავა მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო გადაასახლეს ქ. ტვერში, საიდანაც დაბრუნდა 1913 წელს. ამის შემდეგ ერთხანს ხელმძღვანელობდა გაზეთ „სახალხო საქმეს“. 1917-1921 წლებში იყო ეროვნული საბჭოს წევრი. 1919 წლიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. საკუთარი შეხედულებები ერისა და ეროვნების შესახებ განავითარა ნაშრომში „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“ (1918 წ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წავიდა საზღვარგარეთ. ადრე, 1907 წელს მისი რედაქტორობითა და თანაავტორობით გამოიცა წიგნი: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“. 1912 წელს გადასახლებაში მყოფმა გამოსცა სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გვირგვინი“. სხვა ნაწარმოებებთან ერთად კრებულში ყურადღებას იპყრობს პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ნაწარმოები „გლოვის ზარი“. ნაწარმოები დაწერილია 1911 წელს. შესავალი ამ ნაწარმოებისა დაბეჭდილი იყო



ანდრო ჩიქოვანი და სამსონ ფირცხალავა

„სახალხო გაზეთში“. ნაწარმოებში ავტორი ემდურის ბედს, რომელშიც აღმოჩნდა თვითონ და მისი საყვარელი სამშობლო საქართველო. „გონება ჩემი დახშულია, - წერს იგი, - გული გაშრა, ოცნება მოკვდა, სული კლდეს ასკდება და გზა ვერ გაუჭრია, ხომ მოიძულე ერთგული შვილები, - მიმართავს იგი სამშობლოს, - და ვისაც მეტად უყვარდი, მით უფრო შორს გააძევე, მოსწყვიტე მშობლებსა და შვილებს, გადახვეწე ისინი უცხო მხარეს, ველურთა შორის“. ავტორი გულისტკივილით მიმართავს სამშობლოს: „ჩემს გულში ხომ შენი სიყვარულის მეტი არა არის რა, ჩემი გული ხომ მარტო შენს ბედნიერებას ელტვის, მარტო ერთი ქონება მაქვს - შენი სიკეთე, მარტო ერთი სიყვარული - შენდამი, ერთი სიცოცხლე - სიცო-

ცხლე შენთვის, შვილი ვარ შენი, ლტოლვილი, გამიღე კარი“. 1948 წელს დაწერილ წერილში „ჩემს მონაფეებს“ ავტორი ამხნევებს ქართველ ახალგაზრდობას და მოუწოდებს: „იყავით მუდამ ქართველები, ისწავლეთ კარგად ქართული, უფრო მეტად გაიცანით სამშობლო, თქვენი გული მუდამ სამშობლოსათვის უნდა სცემდეს“. 1920-1930 წწ. პარიზში გამოდიოდა გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, სადაც დაიბეჭდა ს. ფირცხალავას 50-ზე მეტი სტატია, რომელთაგან ყურადღებას იპყრობს ნაშრომები: „დიდი და პატარა ერები“, „შრომა და ცოდნა“, „სამშობლო უნდა დავიბრუნოთ“, „მომავალი საქართველო“, „ევროპისკენ თუ რუსეთისკენ“.

ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებაში მუშობის დროს ს. ფირცხალავა ყურადღებას ამახვილებდა ქართული წიგნების გამოცემისა და გავრცელების პრობლემებზე. იგი წერდა „მარტო ქართული გაზეთები ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა ფართო მოთხოვნებს, მწერლობის აყვავებას არ შეადგენს მარტო გაზეთებისა და წერილების წერა, საჭიროა წიგნები, ხალხური და სხვაგვარიც, თუ გინდათ გამართოთ ერი, მიეცით ხალხს ქართული წიგნი, რომელსაც იგი დღეს დიდი წყურვილით თხოულობს, თუ გინდათ შეიარაღოთ ქართველი კაცი ბრძოლაში, შეიარაღეთ უპირველესად ქართული წიგნით“.

„ყოველი ჩვენი მეცადინეობა, - განაგრძობს ავტორი, - სწავლა-განათლებისათვის არასოდეს არ იქნება მტკიცე და ფეხმოკიდებული, თუ არ გავავრცელებთ ქართული წიგნები. რაც წიგნები გვაქვს მათი უმრავლესობა ბელეტრისტულია, არ მოგვეპოვება მეცნიერული, განსაკუთრებით ისტორიული და ეკონომიკური შინაარსის წიგნები“. ს. ფირცხალავამ კარგად უწყოდა ქართული წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ, მისი მნიშვნელობა ახალგაზრდა ქართველი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. როგორც ცნობილია, ს. ფირცხალავა მთელი ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე. ეს საქმე წარმატებით დაავიწყებინა 1922 წელს და გამოსცა ნ. ბარათაშვილის

თხზულებათა კრებული „ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები“. ამ წიგნზე მუშაობა იყო ერთი ნათელი ფურცელთაგანი მის საგამომცემლო მოღვაწეობაში.

ემიგრაციიდან ს. ფირცხალავა დაბრუნდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. უსამართლოდ დასჯილი და დევნილი მამულიშვილი 1948 წელს წერდა: „კვლავ შენთან ვარ, ჩემო სამშობლოვ, გმირულად ქვეყანავ, მრავალფერად მოხატულ, ჩემს არსებას მხოლოდ შენ ფლობ“. გ. ქიქოძის აზრით ს. ფირცხალავა დაიბადა ჩაგრული ერის შვილად. მისი თანამედროვენი მას ახალი დროის გიორგი მთაწმინდელს უწოდებდნენ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული იგი ქართულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა წერილებს, რომელთა შინაარსი შეადგენდა ქართული ერის ჩამოყალიბებისა და მისი ისტორიული ადგილის შესახებ მსჯელობას. სხვადასხვა დროს იგი მოღვაწეობდა „ცნობის ფურცელის“, „სახალხო გაზეთის“, „სახალხო ფურცლის“ სარედაქციო კოლეგიაში. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები: „გლეხი“, „მინა“, ფასკუნჯი“, „სახალხო საქმე“ და სხვა პერიოდული გამოცემები. მის წერილებს ლეიტმოტივად გასდევს სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული, სიყვარული საქმით, რწმენით და უბრალო მოწოდებებით. ნაშრომში „მოგონებათა ფურცლები“ საინტერესოა აღწერილი ს. ფირცხალავას ურთიერთობა ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, ი. გოგებაშვილთან და სხვა ქართველ მწერლებთან თუ საზოგადო მოღვაწეებთან, რომელთანაც მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა რედაქციებში მუშაობის დროს. წიგნს დაერთვის პირთა საძიებელი, სადაც მკითხველი გაეცნობა ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების ეპიზოდებს.

ს. ფირცხალავას შეხედულებები ეროვნებისა და ეროვნული თავისუფლების შესახებ ჩამოყალიბებული აქვს აქ დასახელებულ ნაშრომში „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“. ავტორის შეხედულებები, თვალსაზრისი და განსჯანი ბევრწილად ეხმაურება თანამედროვე პრობლემებს



ეროვნული საკითხების შესახებ. „ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს სამშობლოს, - წერს იგი, - სამშობლო უნდა ეკუთვნოდეს ერს. სამშობლოს გამგე და პატრონი უნდა იყოს ერი; ადამიანის მწვრთნელი და წინამძღოლი უნდა იყოს ერი; სამშობლო და პიროვნება შედუღებულია, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერი თავისუფალია. ქართველი ერის თავისუფლების უზრუნველსაყოფად იდეალური ფორმაა სრული სეპარაცია, დამოუკიდებლობა, გამოყოფა რუსეთიდან და კავკასიიდან და საკუთარი სახელმწიფოებრივი ერთეულის დაარსება. ქართველი ერის ბედის მჭედელი ყოვლის უპირველესად თვითონ ქართველი ერია“. ავტორის აზრით, ქართველებს კაცობრიობის ოჯახში განსაკუთრებული ადგილი გვიკავია იმით, რომ თავისებური ქართული ტანადობა და სახე გვაქვს.

ასეთი სულისკვეთებითა და მებრძოლი სულითაა გამსჭვალული ს. ფირცხალავას ნაშრომები, მისი კორესპონდენციები, კრიტიკული წერილები. მთელი მისი შემოქმედება შეიძლება დახასიათებული იქნეს როგორც ქეშმარიტი ქართველისა და მამულიშვილის მიერ გაღებული ღვანლი და ამაგი სამშობლოს საკეთილდღოდ. ასეთი რწმენისა და შემართების პიროვნება რეპრესიულმა მანქანამ შეინირა სრულიად უდანაშაულოდ. 1948-1951 წწ. იგი განაგებდა სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკას. 80 წელს მიღწეული ბიბლიოთეკის გამგე, გენერალ რუხაძის განკარგულებით, დააპატიმრეს და შუა აზიის გზას გაუყენეს. არავინ იცის სად დალია მან ტანჯული სული, სატუსალოს საავადმყოფოში თუ გზაში, არც მისი საფლავია ცნობილი.

ს. ფირცხალავას ძირითადი შრომები:

1. გვირგვინი, კრებული.-თბ., 1912.- 328 გვ.;
2. ეროვნება და ეროვნული თავისუფლება .- ტფ., 1918 ,- 64 გვ.;
3. მოგონებათა ფურცლები .- თბ., 1988 .- 132 გვ.;
4. სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი .- ტფ., 1915 .- 96 გვ.;
5. ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში .- თბ., 1948 .- 96 გვ.;
6. ისტორიული ლანდები .- თბ., 1990 .- 96 გვ.

ლიტერატურა ს. ფირცხალავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

1. ნანიტაშვილი, ლ. ერის წყლული აჩნდა წყლულად .- თბ., 1993 .- გვ. 3-31;
2. ნანიტაშვილი, ლ. ქართული წიგნის ამაგდარნი .- თბ., 1985 .- 158 გვ.;
3. შარაძე, გ. უცხოეთის ცის ქვეშ .- წ. 2 .- თბ., 1993 .- გვ. 177-184;
4. ქიქოძე, გ. თანამედროვეობის ჩანაწერები //მნათობი .- 1989 .- №1.- გვ. 3-64;
5. სამსონ ფირცხალავა //ქსე .- ტ.10 .- გვ. 332;
6. შანშიაშვილი, ს. თქვენც რომ გახსოვდეთ ახალგაზრდებო.- თბ.,1977.- გვ. 38-43.

## გულნარა სტურუა

### მეცხრამეტე საუკუნის ქალთა დიდი დედა და მასწავლებელი - ეკატერინე გაბაშვილი

როდესაც მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწე ქართველ ქალთა შესახებ მასალებს ვეცნობი, გული სიამაყით მევსება... რა ჭირვეული დრო იყო, მაგრამ რა გაუტეხელნი, რა შემოქმედებითი ძალებით სავსენი აღმოჩნდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები:

„ხელდასხმულები ნიჭიერებით,  
სიტყვა-პასუხით, სიდარბაისლით,  
მომხიბვლელები, მშვენიერები,  
როგორც ვარდები ლაღი მაისის.  
სტუმართმოყვარე, გულისხმიერნი,  
შემოქმედნი და ხელსაქმოსანნი.

გამორჩეული ქართულ იერით,  
მომღერლები და პოეტ-მგოსანნი,  
ვერ ვიტყვი მათზე სიტყვას შერჩევით,  
გვყავდნენ აგრეთვე ქალი-ელჩებიც,  
სათუთნი, მაგრამ მტერთან ძლიერნი,  
სიტყვით რომ ძლიეს გადამთიელნი!..  
და ასე შემდეგ...

(ეს ნაწყვეტი ჩემი ძველი ლექსიდან, ქართველ ქალთა სახეებმა გამახსენა). დიახ, იმ დუხჭირ ეპოქაში, ჩვენდა გადასარჩენად მოვლენილი ქალები! რომელი ერთი დავასახელო, რომელი გამოვარჩიო... ამჟამად, შევჩერდები ყველასათვის ცნობილ მწერალზე - ეკატერინე გაბაშვილზე, თერთმეტი შვილის გამზრდელ დედაზე, რომელიც იმ დროის ქართველი ხალხის დედაც გახლდათ, მათზე მზრუნველი და მოამაგე. და განა მართო იმ დროის.. ჩვენც, ხომ მის საუკეთესო მოთხრობებზე გავიზარდეთ, ალბათ ყველას გვახსოვს: „მაგდანას ლურჯა“, „თინას ლეკური“, „ღვინია გადაიჩეხა“ და სხვა. რაოდენ სიბრაულეს, სიყვარულს და კეთილშობილურ გრძნობებს თესდა იგი ჩვენს პატარა გულებში... ეკ. გაბაშვილის საბავშვო ჟანრის შემოქმედება გამთბარია ბავშვების უზომო სიყვარულით. მოთხრობებში მას მრავალი აღმზრდელიობითი ამო-

ცანა აქვს დასმული და გადაჭრილი.

ეკატერინე რევაზის ასული თარხნიშვილი ( შემდგომში გაბაშვილი) დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს, გორში. მამა - რევაზ ბაადურის ძე თარხან-მოურავი, იგივე თარხნიშვილი, ვექილი იყო. დედა- სოფიო ვახტანგის ასული ბაგრატიონი, განათლებული, კეთილი და სათნო ადამიანი, სამწუხაროდ, ადრე გარდაცვლილა, ეკატერინე მაშინ ხუთი წლისა ყოფილა. ობლად დარჩენილი ეკატერინე და მისი უმცროსი ძმა - სოსიკო. ბავშვების აღზრდა ბარბარე ბებიას (დედის მხრიდან) უკისრია.

ეკატერინემ წერა-კითხვა გორში შეისწავლა, ხოლო, შვიდი წლისა მიაბარეს თბილისში, გერმანულ სკოლაში. 12 წლისა კი გადაიყვანეს მადამ ფავრის ცნობილ პანსიონში, სადაც მიიღო საშუალო განათლება. აქ ქართულს ასწავლიდნენ ალექსანდრე ცაგარელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ეკატერინეს საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ მოახერხა და გორში დაბრუნდა. იდგა 1868 წელი, რთული დრო თითოეული ქართული ოჯახისთვის. ეკატერინე დაბეჭითებით შეუდგა თვით-განათლებას, გაეცნო რუსულ და უცხოურ ლიტერატურას, სოციოლოგიას. ამავე დროს ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. აქვე დაწერა მოთხრობა „სოფლის მასწავლებელი“. ეკატერინე გაბაშვილი ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. პირველი ნაწარმოები „გლეხკაცების აზრი სასოფლო შკოლაზედ“ გამოაქვეყნა 1870 წელს „დროებაში“, სადაც აღწერილი აქვს სოფლის მოსახლეობის შეხედულება და დამოკიდებულება, მათი, რაღაც გაუცნობიერებელი, შიში სწავლა-განათლებისადმი, ეს იყო განმანათლებლური დარიგება- შეგონებანი უბრალო ადამიანების მიმართ, „**განა ვერა**



ეკატერინე გაბაშვილი მოსწავლეებთან ერთად

ხედავთ, როგორ ყველაში გჯობიათ სწავლულნი ხალხი: როგორც გონივრობაში, ისე ცხოვრებაში, თუ ჭამით, თუ სმით და ჩაცმით? აქედან ჩანს, რომ სწავლას უფრო ადვილად მოაქვს კეთილი ცხოვრება. გარდა ამისა, განა დღიური ლუკმა მარტო ხვნითა და თესვით მოიპოვება? არა, თქვენისთანა მხვნელ-მთესველს კარგი ცხოვრება ვერ უპოვნია და ვერც თქვენ იპოვნით, იმიტომ ხვნასა და თესვასაც სწავლა უნდა. მეორეც ესა, რომ არიან კიდევ სხვა ბევრი გზები ცხოვრებისა, მაგალითად: ვაჭრობა, ხელოსნობა, ოსტატობა, მხატვრობა, მწერლობა, ხელმწიფის სამსახური და სხვა. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს შვილებს არ შეუძლოთ ასრულება ყველაფრისა, რაც მე ჩამოვთვალე. სწავლას ბევრი რამ შეუძლიან, შენიშნულია, რომ წარჩინებულნი კაცნი ხშირად უფრო თქვენისთანა ხალხიდგან გამოდიან. ასე, ჩემო ნინო, სიხარულით მიეცით თქვენი შვილები სკოლაში, სწავლა დიდი სამკაულია კაცისათვის და მარტო სწავლას შეუძლიან გამოიყვანოს ხალხი იმ

უმეცარი მდგომარეობიდგან, რომელშიაც აქამდისინ ყელამდინ არის ჩაფლული...“ ეს წერილი ეკატერინე გაბაშვილის სულის და გულის ამოძახილია, მისი შემოქმედების კრედოა, შეაგნებინოს უბრალო, მშრომელ ხალხს განათლებისა და ცოდნის როლი და სიკეთე ადამიანის ცხოვრებაში. და ამ მიზნის განხორციელებას უშურველად ემსახურება. 1868 წლიდან ეკატერინე გულმოდგინედ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ხსნის სამრევლო სკოლებსა და ამავე დროს ერთი წუთითაც არ ანელებს საკუთარ თავზე მუშაობას, თვითგანვითარებას.

1871 წელს ეკატერინე უკვე თბილისში ცხოვრობს და დაოჯახებულია, მისი მეუღლე გახლდათ ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბაშვილი. ამავე წლიდან იწყება ეკატერინეს დაკავშირება ქართული მწერლობის მოწინავე წარმომადგენლებთან. რომელთა იდეური ზემოქმედება იგრძნობა მის შემოქმედებაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში მან ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა პროზის მცირე ჟან-

რი, პატარა მოთხრობა, ნოველა, მინიატიურა, სურათი...ამ მხრივ მნიშვნელოვანია “ოჯახის ბურჯი”, “თინას ლეკური”, “გამარჯვებული ნიკო”, “მაგდანას ლურჯა”, “ღვინია გადაიჩეხა”, “თამარის ნუგეში”, “მეურმის ფიქრები” და სხვა (გამომუშავდა ეკ. გაბაშვილის 9 კრებული, საბავშვო მოთხრობები (1952) და ორტომეული – 1953 წ., რომელშიც სამოცამდე მოთხრობაა შეტანილი).

საოჯახო ცხოვრებას, დიასახლისობას და, რაც მთავარია, წვრილშვილის დაზრდას, ბუნებრივია, უნდა შეეზღუდა ეკატერინეს შემოქმედებითი ძალები, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ეკატერინე ბრწყინვალედ ახერხებს არ უღალატოს თავის ნიჭს, უნარსა და მოწოდებას - ღირსეულად იდგეს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის ქართველ შემოქმედთა გვერდით და წარმოაჩინოს ქართველი ქალის ნიჭი და უნარი. გარდა იმისა, რომ ეკატერინე იყო საოჯახო საქმიანობით უაღრესად დატვირთული, მას უხდებოდა აგრეთვე იმდროინდელი ყოფისთვის დამახასიათებელი რეალიების დაძლევა. ერთ თავის ნაწარმოებში - „ფრთებდაგლეჯილი“ აღწერილია მწერალი ქალის ცხოვრების ერთი დღე: შეურაცხყოფა, დამცირება, სასოწარკვეთა. და ეს არის ავტოგრაფიული პიესა, რომლის მთავარი გმირი გაზეთის რედაქტორი და დამწყები მწერალი ქალია (ქეთო) მას ერთადერთი გულშემატკივრი ჰყავს, რომელიც ანუგეშებს, რომ „...ადამიანები ბოროტნი და შურიანი რომ არ იყვნენ, შეიძლებოდა ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეერთებინა დედაკაცს; აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა, პატივისცემა...“ (1912, ჟურნალი „გრდემლი“) დიახ, სამწუხაროდ, არც ის საუკუნე იყო დაზღვეული შურიანი ადამიანებისაგან. სხვა პრობლემებთან ერთად ესეც დიდი პრობლემა იყო. უნდა ითქვას, რომ ამ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში სწორედ იმ თემაზეა საუბარი, რაც მწერალ ქალს უშუალოდ აწუხებდა. XIX საუკუნის პერიოდიკაში ხშირად იბეჭდებოდა იმ დროის გამოჩენილ ლიტერატორ მამაკაცთა წერილები, რომლებიც ხედავდნენ რა საზოგადოებაში მიმდინარე არაჯანსაღ

პროცესებს, რატომღაც ყოველთვის ქალებს ადანაშაულებდნენ და მოწინააღმდეგე აზრისმქონე მოპასუხეებს არც კი ეხმაურებოდნენ. გთავაზობთ ეკატერინეს პასუხს ერთ-ერთ ასეთ შეურაცხმყოფელ წერილზე: „რა იდეალი გაქვთ თქვენ (მამაკაცებს), რომ ჩვენ არ თანავუგრძნობთ? რომელ რაზმს გავუძღვეთ ან რომელს მივდიოთ? წადით თქვენ და თუ ვერ მოგყვით, მაშინ გვიკვირეთ! და თუ თქვენ თვითონ ტორტმანებთ, მაშასადამე, ორთავს ერთად, თქვენც და ჩვენც ჯერ ჩანჩალი, უფერულობა, ძილმორეულობა გვხვდა წილად და ერთმანეთს ნურას ვსაყვედურებთ...დღეს თქვენ სძრახავთ დედა-კაცს რომ იმას თვალეები შეძლებული საქმროს დასაჭერათა აქვს დაჭყეტილი. ეგ მართლაც საძრახისია და ზნეობით დაცემის ნიშანია, მაგრამ ის მხოლოდ მაგიერს გიხდით თქვენ!“ ..

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ქალი თავის მოთხრობებსა და წერილებში ხშირად ეხება სოციალური უსამართლობისა და აღმზრდელობით თემებს, უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება არ არის მხოლოდ სოციალური უსამართლობის ასახვა. ეკატერინეს შემოქმედების მიზანი და ინტერესია განსხვავებულობა, მრავალფეროვნება არა მხოლოდ ადამიანში, არამედ სოციალურ რეალობაში, ისტორიულ მოვლენაში.

როგორც ლიტერატურის მცოდნენი და კრიტიკოსები ამბობენ „ეკატერინე ცხოვრებაში ჩართული, ცვლილებების გამომწვევი და განახლების მომხრე ქალია, რომელიც სწორედ ისე ხედავდა, როგორც წერდა და სწორედ ისე წერდა, როგორც გრძნობდა“...

მწერალი ქალის შემოქმედება მოედინება საკუთარი ცხოვრებიდან, ჰუმანისტური სულისკვეთებით არის გაჟღენთილი, არის ბუნებრივი, უშუალო, რადგანაც გულწრფელად აწუხებს ცხოვრებისაგან დაჩაგრული ადამიანის ბედი. იგი ისე გვიხატავს თავისი მოთხრობების მოქმედ პირებს, რომ ინვესტ მკითხველის დიდ თანაგრძნობას...

1882 წლიდან ეკატერინე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრია, 1897-1922 წლებში ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი, 1872-1905 \_ ქალთა წრის ერთ-ე-

რთი დამაარსებელი და მისი რეგიონული ფილიალების შექმნის ინიციატორი

მწერალი თავისი შემოქმედებით და ცხოვრებით ცდილობდა დაერწმუნებინა მისი თანამედროვენი თანასწორობის იდეის საჭიროებასა და აუცილებლობაში. ამ მხრივ იგი გამორჩეული პიროვნება გახლდათ ცნობილ ფემინისტ ქალთა შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკატერინეს მიერ დაარსებული პროფესიული სკოლა (1883), რომელმაც თითქმის 40 წელზე მეტი იარსება და იმუშავა. ამ სკოლის საშუალებით ძალიან ბევრ ხელმოკლე და დაბალი სოციალური ფენის ქალს მიეცა განათლების საშუალება. რომ ეს სკოლა არა, **სხვაგვარად ცოდნის მიღებას** ეს ქალები ვერ მოახერხებდნენ. პროფესიული განათლების მიღების შემდეგ კი მათ უჩნდებოდათ საკუთარი შემოსავალი და დამოუკიდებლად ცხოვრების პირობები. ამიტომაც იყო, რომ ეკატერინეს პროფესიული სკოლადამთავრებულები სიცოცხლის ბოლომდე მადლიერებით იხსენებდნენ მას, როგორც “დიდ დედას”, მასწავლებელსა და განმანათლებელს.

ეკატერინე გაბაშვილს, როგორც ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს - 1911 წ. ქართულ თეატრში დაბადებიდან 60 წლის იუბილე გადაუხადეს. ბავშვების პატარა გუნდი ყვავილებს ფიანდაზად უფენდა საყვარელ მწერალს. იუბილარი აკაკიმ წარადგინა დამსწრე საზოგადოების წინაშე და მოკლედ ისაუბრა ეკატერინეს ნაღვანის შესახებ, ხოლო შემდეგ მდაბლად ეამბორა ხელზე... “ქართველი ხალხის წინაშე იდგა ორი ადამიანი, ორი სიამაყე ქართველი ერისა... უფროსი – დიდებული მგოსანი აკაკი და უმცროსი – დიდებული მწერალი – ეკატერინე გაბაშვილი” ასე წერდნენ და აღ-

ნიშნავდნენ ამ დღეს მაშინდელ პრესაში.

ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს კასპის რ-ნის სოფ. ახალქალაქში. დასაფლავებული იყო ვაკის სასაფლაოზე, შემდეგ ნეშტი გადაასვენეს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ხომ ვისაუბრეთ ჩვენი სახელოვანი, ღვანლმოსილი მწერლის შესახებ, მაგრამ რომელ კალამს შეუძლია სრულად აღწეროს მისი საქმიანობა, შეაფასოს მისი როლი მეცხრამეტე საუკუნის ქალთა ცოდნისა და განათლების აღორძინებაში. სხვა ქართველ ქალებთან ერთად, სწორედ ეკატერინეს სახელთანაა დაკავშირებული ქართულენოვანი სკოლების გახსნა, დაარსება, და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ქართული ენა არამც თუ კნინდებოდა, არამედ მოუვლელიობითა და უპატრონობით თვალდახელშეუქრებოდა კიდევ, როდესაც თავად ეროვნებაც (ქართველობა) ბენვის ხიდზე შერჩენილიყო და ვინ იცის სად, რომელ უფსკრულში ჩაიკარგებოდა. აი, ამ დროს გამოჩნდნენ რუსულ გიმნაზიებში და საზღვარგარეთ განათლებამიღებული, ეროვნული თვითშეგნებით ამაღლებული ქალები და იმ უცნაური და მეტად სახიფათო დროის მწერლებთან და განმანათლებლებთან ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით, ბრძოლით, ინტერესით, მიზანდასახულობით, ნიჭით, უნარით, ქველმოქმედებით და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გაასუფთავეს და გაკვალეს მეტისმეტად დაბურდული და ის მძიმე გზა, რომელზედაც ახლა ჩვენ ვდგავართ და რომელსაც, დღევანდელი მოფიქრალნი და მოაზროვნენი, შიშით შევყურებთ... ვაი, თუ ისევ ჩაგვეხერგოს შინაურ თუ გარეშე მტერთა მოზღვავეებით!..



**საბიბლიოთეკო ქსელი**

**გურამ თაყნიაშვილი**  
**ნანა ქავთარაძე**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება: დახასიათება რაოდენობითი მაჩვენებლებით**

სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს 9 მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკების გაერთიანება. უნდა აღინიშნოს, რომ მხარის მუნიციპალიტეტებში 2000 წლის შემდეგ ძირითადად შენარჩუნებულია ბიბლიოთეკების რაოდენობა. 2000 წლისათვის მხარეში სულ ფუნქციონირებდა 215 საჯარო ბიბლიოთეკა, 2019 წლისათვის მოქმედებს 135 საჯარო ბიბლიოთეკა.

მუნიციპალიტეტების მიხედვით მხარის საბიბლიოთეკო ქსელი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ლი მაქსიმალურად ვერ უზრუნველყოფს დასახლებული პუნქტების მომსახურებას. ამ მხრივ ყველაზე მეტად თვალშისაცემია მარტვილის საბიბლიოთეკო ქსელის მდგომარეობა. 6 საჯარო ბიბლიოთეკა, რა თქმა უნდა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სასოფლო ბიბლიოთეკების წინაშე არსებულ ამოცანებს.

სულ მხარის მასშტაბით მომსახურების გარეშეა დარჩენილი 108 სოფელი, მათგან 500-მდე მაცხოვრებლით - 41, 500-დან 1000-მდე მაცხოვრებლით - 36, 1000-ზე მეტი მაცხოვრებლით -31;

როგორც მონაცემები გვიჩვენებს მა-

**ბიბლიოთეკების რაოდენობა 2000-2019 წწ.**

	მუნიციპალიტეტის დასახელება	2000 წ.	2003 წ.	2011 წ.	2012 წ.	გაუქმდა 2012-2018 წწ.	აღსდგა 2018 წ.	არის 2019 წ.
1	ზუგდიდი	38	41	18	18	12	12	26
2	აბაშა	18	19	18	18	-	-	18
3	სენაკი	21	21	15	15	6	2	17
4	ხობი	26	26	11	11	15	2	13
5	მესტია	46	43	8	8	31	16	15
6	ჩხოროწყუ	22	23	15	15	7	7	15
7	მარტვილი	7	21	5	5	2	1	6
8	წალენჯიხა	28	30	18	18	7	7	21
9	ფოთი	9	10	4	4	5	-	4
	<b>ჯამი =</b>	<b>215</b>	<b>234</b>	<b>112</b>	<b>112</b>	<b>85</b>	<b>47</b>	<b>135</b>

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს მხარეში ძირითადად დარჩა საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი. 2012 წლის შემდეგ მხარეში აღსდგა 80 სასოფლო ბიბლიოთეკა. მოქმედი ბიბლიოთეკების ქსე-

რტო მარტვილის მუნიციპალიტეტში მომსახურების გარეშეა დარჩენილი 74 სოფელი, რომელთაგან დიდი უმრავლესობა სტაციონალური ბიბლიოთეკიდან დაშორებულია 10-ზე მეტი კილომეტრით. ისეთი დასახლე-

**მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლები, მოსახლეობის რაოდენობის ჩვენებით**

	მუნიციპალიტეტის დასახელება	სოფლების რაოდენობა	500-მდე მაცხოვრ.	500-დან 1000-მდე მაცხოვრ.	1000-ზე მეტი მაცხოვრ.	შენიშვნა
1	ზუგდიდი	22	2	7	13	
2	აბაშა	ყველა სოფელში არის ბიბლიოთეკა				
3	სენაკი	ყველა სოფელში არის ბიბლიოთეკა				
4	ხობი	6	2	2	2	
5	მესტია	6	4	1	1	
6	მარტვილი	74	33	26	15	
7	ჩხორონყუ	ყველა სოფელში არის ბიბლიოთეკა				
8	წალენჯიხა	ყველა სოფელში არის ბიბლიოთეკა				
9	ფოთი	-	-	-	-	
	<b>ჯამი =</b>	<b>108</b>	<b>41</b>	<b>36</b>	<b>31</b>	

ბული ადგილები ამ მუნიციპალიტეტში, როგორცაა: ქვათაი, ნახაბერაო, წალეფსაო, გაჭედილი, მეორე ბაღდა, მესამე ბაღდა, ტალური, ოჩე, ზედა ხუნწი, პატარა ინჩხური და სხვები, რომლებიც მახლობელი ბიბლიოთეკიდან დაშორებულნი არიან 1-5 კმ-მდე მანძილით, ქსელის ორგანიზების პრინციპების თანახმად არ შეიძლება ჩაითვალოს მომსახურების გარეშე დარჩენილ სოფლებად.

მარტვილის მუნიციპალიტეტში 1000-ზე მეტი მაცხოვრებლით დარჩენილია 15 სოფელი. ზოგი მათგანი: ლედგებე, ამული, ჟინოთა, სალხინო, მუხურჩა, პირველი ჯოლევი, ნახურცილაო, ნახაჯაო და სხვები მახლობელი ბიბლიოთეკებიდან დაშორებულია 15-20 კმ-ით. მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ პირველ რიგში უნდა იზრუნოს აღნიშნულ სოფლებში ბიბლიოთეკების აღდგენაზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მომსახურების გარეშე დარჩენილი სოფლების დიდი რაოდენობა მახლობელი ბიბლიოთეკებიდან დაშორებულია 3-5 კმ-ით. მუნიციპალიტეტების საჯარო ბიბლიოთეკების ანალიზის დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ დადებითი ტენდენციების შესახებ, რომლითაც ხასიათდება მხარის საბიბლიოთეკო ქსელი მთლიანად. ის ფაქტი, რომ მხარის 4 მუნიციპალიტეტში: აბაშა, სენაკი, ჩხორონყუ და წალენჯიხაში ყველა სოფელი და დასახლებული პუნქტი მომსახურებულია

სტაციონალური ბიბლიოთეკებით, იმაზე მეტყველებს, რომ მხარის ადმინისტრაციას კარგად ესმის ბიბლიოთეკების როლისა და ადგილის შესახებ მოსახლეობის განათლების, აღზრდისა და საინფორმაციო მომსახურების საქმეში. მხარის საბიბლიოთეკო ქსელის მუშაობის ადრინდელ სურათს თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ცხრავე საბიბლიოთეკო გაერთიანება გამოირჩევა მომსახურების მაღალი მაჩვენებლებით, სიახლეთა დანერგვის მცდელობითა და, რაც მთავარია, მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფების აქტიური მონაწილეობით საბიბლიოთეკო ღონისძიებებში. მათი დადებითი ტენდენციები დღესაც წარმატებით გრძელდება. აუცილებელია მხარის ცენტრალურმა (მთავარმა) ბიბლიოთეკამ ყოველწლიურად შეადგინოს საბიბლიოთეკო ქსელის ანალიზი და შეიმუშაოს დასაბუთებული პროგრამა, რეკომენდაციები მთლიანად მხარეში მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. ჩვენ აქ შევეცადეთ მოგვეცა ქსელის ანალიზი რაოდენობითი მაჩვენებლების გამოყენებით. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უფრო დეტალური დახასიათება შეადგინოს ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენებით: კითხვაობა, წიგნის ბრუნვა, წიგნით უზრუნველყოფა, ჩაბმის % და სხვა მაჩვენებლების გამოყენებით.

საბიბლიოთეკო ქსელის წარმატებული ფუნქციონირება ბევრად დამოკიდებულია კომპიუტერული ტექნიკის მიზანმიმართული გამოყენებით. მხარის მუნიციპალიტეტებში კომპიუტერების რაოდენობა ასეთი სქემით წარმოგვიდგება:

საზოგადოებრივი ცენტრი. მათგან 4 ცენტრში, 6 სოფლის დასახლებებში. სოფლის ბიბლიოთეკების სრულყოფილი ინტერნეტიზაცია, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში, საშუალებას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოს

	მუნიციპალიტეტის დასახლება	კომპიუტერის რაოდენობა	სასოფლო ბიბ-ში რამდენია ჩართული ინტერნეტში	შენიშვნა
1	ზუგდიდი	43	14	
2	აბაშა	7	4	
3	სენაკი	3	1	
4	ხობი	7	5	
5	მესტია	3	-	
6	მარტვილი	1	-	
7	ჩხოროწყუ	5	4	
8	წალენჯიხა	7	7	
9	ფოთი	7	-	
	<b>ჯამი =</b>	<b>76</b>	<b>35</b>	

თითოეული ცენტრალური ბიბლიოთეკა ადგენს ქსელში ორგანიზებული წიგნობრივი ფონდების ელექტრონულ კატალოგს, ამასთან ქმნის მხარეთმცოდნეობითი მასალების მონაცემთა ბაზებს, აწარმოებს ამავე მასალების ტრადიციულ ბიბლიოგრაფიულ კარტოთეკებს. ზუგდიდის მთავარი ბიბლიოთეკა ქმნის ასევე ელექტრონული კატალოგის სახით მონაცემთა ბაზებს მხარის მუნიციპალიტეტებში ორგანიზებული წიგნობრივი ფონდების შესახებ. ადრე ასეთ სამუშაოებს აწარმოებდა ბარათული სახით, ე. წ. შეერთებული კატალოგი.

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ გაამრავალფეროვნა ბიბლიოთეკების საქმიანობა. სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციამ მოიზიდა ახალი მკითხველები, მათი მრავალფეროვანი სოციალურ-პოლიტიკური, თუ საყოფაცხოვრებო საკითხებზე ინფორმაციის მოპოვებამ ახალი მოთხოვნები დააყენა ბიბლიოთეკარების წინაშე. ბიბლიოთეკები, როგორც ინფორმაციის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ. იუსტიციის სამინისტროს მიერ მხარეში გახსნილია და ფუნქციონირებს 10

მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. მთავარია ინტერნეტმა შალწიოს დიდ დასახლებულ პუნქტებსა და სასწავლო დაწესებულებებში. საგანგებო მიდგომას საჭიროებს მესტიის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში ბიბლიოთეკების აღდგენის საკითხი. ექვსივე სოფელი მესტიიდან დაშორებულია 15-25 კმ-ით; აქ სოფლის ბიბლიოთეკები გაუქმდა 2007-2010 წლებში. ექვსივე სოფელში არის საჯარო სკოლა. ვფიქრობთ, სკოლის ბიბლიოთეკებმა უნდა შეასრულონ საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციები, თუ მათ ფონდებს შევავსებთ მაპროფილებელი ლიტერატურითა და კომპიუტერული ტექნიკით. ასეთი პრაქტიკა გვაქვს ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, სადაც საჯარო სკოლებს შეთავსებული აქვთ საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციები.

მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ხარისხი ბევრად დამოკიდებულია ქსელში ორგანიზებული წიგნობრივი ფონდების შინაარსობრივ შემადგენლობასა და საცნობარო აპარატის გონივრულ ორგანიზებაზე.

**2017-2019 წწ. ქსელში შეძენილი ახალი წიგნების რაოდენობა**

	მუნიციპალიტეტის დასახელება	2017-2019 წწ. გამოყოფილი თანხა	შეძენილი წიგნების რაოდენობა	შენიშვნა
1	ზუგდიდი	11 789 ლ.	1150 ეგზ.	ბიუჯეტიდან გამოყ.თანხა
2	აბაშა	-	190 ეგზ.	
3	სენაკი	12 349 ლ.	1488 ეგზ.	
4	ხობი	14 100 ლ.	847 ეგზ.	
5	მესტია	7 400 ლ.	873 ეგზ.	
6	მარტვილი	1 773 ლ.	184 ეგზ.	
7	ჩხოროწყუ	1 500 ლ.	842 ეგზ.	
8	წალენჯიხა	---	566 ეგზ.	
9	ფოთი	6 299 ლ.	1 014 ეგზ.	
	<b>ჯამი =</b>	<b>55 210 ლ.</b>	<b>7 154 ეგზ.</b>	

**ერთ ბიბლიოთეკაზე შეძენილი წიგნების საშუალო რაოდენობა**

	მუნიციპალიტეტის დასახელება	შეძენილი წიგნ.რაოდ.	ბიბ-ის რაოდენ.	საშ. რაოდ. 1 ბიბ-ზე	შენიშვნა
1	ზუგდიდი	1150	26	44	
2	აბაშა	190	18	10	
3	სენაკი	1488	16	93	
4	ხობი	847	13	65	
5	მესტია	873	15	58	
6	მარტვილი	184	6	30	
7	ჩხოროწყუ	842	15	56	
8	წალენჯიხა	566	21	26	
9	ფოთი	1014	4	253	
	<b>ჯამი =</b>	<b>7 154 ეგზ.</b>	<b>134</b>	<b>53 ეგზ.</b>	

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ძირეული ცვლილებები განიცადა ამ ტიპის ბიბლიოთეკებში დავანებულმა წიგნობრივმა ფონდებმა, როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ბიბლიოთეკები განთავისუფლდნენ საბჭოური იდეოლოგიის ამსახველი გამოცემებისაგან. გადახალისდა საჯარო ბიბლიოთეკების ფონდების ძირითადი ბირთვი, მათი შინაარსი მაქსიმალურად დაუახლოვდა მკითხველთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნებს. ფონდების ასეთი ცვლილებებით ცხადი გახდა მათი განახლების აუცილებლობა. თანამედროვე მკითხველი მხატვრული ლიტერატურის გარდა, თხო-

ვლობს უახლეს გამოცემებს ეკონომიკის, პოლიტიკის, ბიზნესის, ინფორმატიკის, სოფლის მეურნეობის საკითხებზე გამოცემულ უახლეს ლიტერატურას. საერთოდ, თანამედროვე ეტაპზე ერთობ დაბალია საჯარო ბიბლიოთეკებში განახლების მაჩვენებელი. სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელში ბოლო სამი წლის მანძილზე ფონდების განახლების მდგომარეობა ასეთი მაჩვენებლებით შეიძლება დავახასიათოთ.

მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრებთან

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტში მომუშავე ბიბლიოთეკართა პროფესიული კვალიფიკაცია ასეთი მონაცემებით ხასიათდება:**

	მუნიციპალიტეტის დასახელება	თანამშრომ. რაოდ.	უმაღლ. სპეც. განათლ.	უმაღლ. ზოგადი განათლ.	საშუალო სპეციალ. განათლ.	საშუალო არასპეც. განათლ.	საშუალო განათ.
1	ზუგდიდი	90	16	59	15	-	-
2	აბაშა	32	-	10	7	8	7
3	სენაკი	26	5	1	4	-	16
4	ხობი	19	3	3	-	3	10
5	მესტია	23	3	1	10	9	-
6	მარტვილი	15	3	4	8	-	-
7	ჩორონყუ	23	5	2	4	2	10
8	ნალენჯიხა	35	4	10	10	6	5
9	ფოთი	24	5	8	8	2	1
	<b>ჯამი =</b>	<b>287</b>	<b>44</b>	<b>98</b>	<b>66</b>	<b>30</b>	<b>49</b>

საქმიან ურთიერთობას. ასეთი ცენტრები ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გახსნილია სოფლის ბიბლიოთეკებში. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საზოგადოებრივი ინფორმაციის ცენტრები მოქმედებენ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ორსანტიასა და რუხში, სენაკში, ხობის რაიონის სოფ. ჭალადიძეში, მესტიაში, ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის სოფ. ლესიჭინეში, ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭვარსა და ჭგალაში, და ქ. ფოთში. მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ინფორმირების ანალიზის დროს ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს ასეთი ცენტრების მიერ ჩატარებულ მუშაობას, რომელსაც კავშირი აქვს წიგნთან, საბიბლიოთეკო ღონისძიებებში მათ მონაწილეობას და სხვ. საკითხებს.

მხარის მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების დონე და ხარისხი განპირობებულია ქსელში მომუშავე ბიბლიოთეკართა პროფესიულ კვალიფიკაციაზე, მათ აქტიურ მოღვაწეობაზე და უნარზე შეისწავლონ მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნები და არსებული რესურსებით უზრუნველყონ მათი მაქსიმალური დაკმაყოფილება.

მხარის მთავარი ბიბლიოთეკის დირექციისა და მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო გაერთიანებათა მენეჯერების საყურადღებოდ უნდა მივუთითოთ, რომ აქ წარმოდგენილი დახასიათება ძირითადად ეყრდნობა რაოდენობით მაჩვენებლებს. ამასთან სტატიის ავტორები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლებელია ციფრობრივ მონაცემებში შეინიშნებოდეს გარკვეული ცდომილებანი, რაც დამახასიათებელია ქსელში მიმდინარე ცვლილებებით. ამასთან ჟურნალის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას უფრო დეტალური ანალიზი წარმოვადგინოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენებით. ეს სამუშაოები უნდა შესრულდეს ცალკეული მუნიციპალიტეტების დირექტორებისა და პროფესიონალების მიერ. ქსელის ხელმძღვანელ პირებს გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ადგილებზე საბიბლიოთეკო მომსახურების ანალიზი ემსახურება ერთ მიზანს: - შევქმნათ ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მთლიანი სურათი, რათა შევიმუშაოთ ასეთი სამსახურის გაუმჯობესებისა და გარდაქმნის დასაბუთებული პროგრამა.



## ეროვნული ბიბლიოთეკის სიახლენი

### ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრი

30 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში (გუდიაშვილის ქ. 5), რესტავრირებულ და განახლებულ სივრცეში, ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრი გაიხსნა.

ცენტრში განთავსდა ბიბლიოთეკის დაკომპლექტების, კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის, ფონდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის, ISBN წიგნის, ISMN მუსიკალური გამოცემების, ISSN სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომრების განყოფილებები. ამით ასრულდა დიდი ხნის ნატვრა, რომ ბიბლიოთეკაში წიგნის შემოსვლისა და დამუშავების პროცესი ერთ დამოუკიდებელ სივრცეში განთავსებულიყო.

ჯერ კიდევ 1931 წელს, როდესაც ამ ისტორიულ შენობაში რეორგანიზებული საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა გაიხსნა, ბიბლიოთეკის ლეგენდარული დირექტორის, გიორგი გეხტმანის, გეგმა იყო, რომ „წიგნის გზა“ ერთ სივრცეში ყოფილიყო. მოთხოვნას საბჭოთა მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია. ამ საკითხზე გეხტმანსა და მაშინდელ განათლების მინისტრს შორის სიტყვიერი შელაპარაკებაც კი მოხდა (გეხტმანი ითხოვდა, რომ წიგნთსაცავის და ე. წ. „წიგნის გზის“ საბოლოო ორგანიზაციამდე ბიბლიოთეკა მკითხველთათვის არ გახსნილიყო), რის გამოც გეხტმანი ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გეხტმანის აზრით, ბიბლიოთეკის დაკომპლექტებისა და წიგნის დამუშავების ცენტრი პირველი კორპუსის სწორედ ამ ცალკე ფლიგელში, ცალკე შემოსასვლელით უნდა განთავსებულიყო. ამით ერთმანეთისაგან გაიმიჯნებოდა მკითხველის მომსახურება და ფონდების დამუშავების პროცესი.


დღეისათვის შენობის ეს ნაწილი პირვანდელი სახითაა აღდგენილი და გეხტმანის გეგმაც განხორციელებულია. სიახლეა ის, რომ ფოიეს იატაკის მოზაიკა ტაო-კლარჯეთ-



ში მდებარე იშხნის ტაძრის იატაკის ფრაგმენტების მიხედვითაა შესრულებული. ეს პირველი კორპუსის გაფორმების ლოგიკური დასრულებაა და ამ კორპუსის არქიტექტორ ანატოლი კალგინისა და მხატვარ-არქიტექტორ ჰენრიხ ჰრინევსკის ჩანაფიქრის ასრულებაც. ამ კორპუსის შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესია-მონასტრების მიხედვით გაფორმება მათ ჯერ კიდევ 1912 წელს ჩაიფიქრეს. პირველი კორპუსის არქიტექტურაში XI საუკუნეში აგებული იშხნის მონასტრის არაერთი ელემენტი გამოყენებული, - აცხადებს საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი.

ფოიეს კედლებზე გამოფენილია კორპუსის აშენებისათვის გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრები, მათ შორის კორპუსის თავდაპირველი პროექტიც, იშხნის მონასტრის იატაკის დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტოები. ეს მასალები გადმოგვცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, ხელოვნებათმცოდნე ირინე გივიაშვილმა, მკვლევარმა ნინო ბაგრატიონმა, ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ, ფოტოხელოვანმა შალვა ლეჟავამ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, რესტავრატორების: ნანა კუპრაშვილის, ნიკო ზაზუნიაშვილის, ჯონი ახობაძის, ლევან ქერდიკოშვილის, იური დონაძის ხელშეწყობით.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკარის რეცეპტი  
ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას**

<b>მომზადების დრო:</b>	3 თვე
<b>სირთულე:</b>	
<b>ყველაზე მეტად უხდება:</b>	კოლეგათა ურთიერთთანადგომა, ბიბლიოთეკარის პროფესიონალიზმი და მომსახურების მაღალი კულტურა, მყუდრო და თბილი გარემოს შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და სიახლეებისათვის ფეხის აწყობა.

**ინგრაღიენობები :**



- მაღალკვალიფიციური ბიბლიოთეკარი, ორიენტირებული მკითველისა და წიგნის სიყვარულზე.
- აქტიური თანამშრომლობა სკოლასთან, საბავშვო ბაღთან, სოფლის საკრებულოსთან და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან.
- თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის მაღალი დონე და აქტიური თანამშრომლობა მოსახლეობის ყველა ფენასთან. ელექტრონული კატალოგის გამართული მუშაობა.
- ბიბლიოთეკის Facebook-ის გვერდი, სადაც ქვეყნდება მუშაობის ამსახველი მასალები.
- ელექტრონული ფოსტა, რომელიც საშუალებას იძლევა ადგილზე მიუსვლელოდ გადავაგზავნოთ დოკუმენტაცია და დაიზოგოს დრო. ეს დრო კი მოხმარდეს ბიბლიოთეკის მომხმარებელს.
- თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობა (კომპიუტერები, ქსეროქს-პრინტერი, სკანერი)

**რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ვეჯინის ბიბლიოთეკაში?**

სოფ. ვეჯინის ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს 2009 წლიდან. მკითხველთა უმრავლესობას ბავშვები შეადგენენ.

2015 წელს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ძალისხმევით და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას - თანამედროვე ინტერნეტსერვისები ადგილობრივი მოსახლეობისათვის“ ფარგლებში მოხდა ბიბლიოთეკის ჩართვა.

ინტერნეტმა უფრო მოხერხებული, სწრაფი და კომპაქტური გახადა მკითხველთა მომსახურება, გამოიწვია ბიბლიოთეკის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა. მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ ინტერნეტით სასკოლო დავალებების მომზადებისას.

მკითხველთა მოსაზიდად ბიბლიოთეკა ატარებს სხვადასხვა სახის აქტივობებს: ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს „ნორჩ მკითხველთა კლუბი“, რომელსაც ბიბლიოთეკართან ერთად ხელმძღვანელობს ფილოლოგი თამარ ბანაშვილი. ბიბლიოთეკარი თვეში ერთხელ ატარებს გასვლით ღონისძიებას საბავშვო ბაღში სახელწოდებით „ზღაპრის საათები“.

საჭიროების შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ საბიბლიოთეკო სივრცეს.

ბიბლიოთეკა სრულად უთმობს სივრცეს ბავშვებს, რათა უფრო მეტად კომფორტულად იგრძნონ თავი. აქ ხშირად ნახავთ ახალგაზრდებს პლანშეტით ხელში, გონივრული თამაშებით დაკავებულ მოსწავლეთა ჯგუფს, ჟურნალ-გაზეთებში თავჩარგულ ხანდაზმულ ადამიანებს.

ბიბლიოთეკა არის ადგილი, სადაც თავს იყრის ყველა თაობის წარმომადგენელი.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი, მიმდინარეობს წიგნადი ფონდის შეყვანა. უახლოეს მომავალში დაიწყება ცირკულაციის პროცესი ელექტრონული კატალოგის გამოყენებით.

**„შეფ-შვარეული“ რჩევები:**

ბიბლიოთეკაში უნდა მუშაობდეს მაღალი პროფესიონალიზმისა და მომსახურების კულტურის მქონე პერსონალი. ბიბლიოთეკა ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებელზე და ითვალისწინებდეს იმ მკითხველის გემოვნებას, ვისაც ემსახურება

მუშაობის პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და ინოვაციების გვერდით, აუცილებლად გამოვიყენოთ ძველი ტრადიციული მეთოდები, რათა ბეჭდურ გამოცემებსაც არსებობის საშუალება ჰქონდეს.

ყოველ სიახლეს მოვეკიდოთ კეთილგანწყობითა და დიდი პასუხისმგებლობით. სწორი მიმართულებით დავგეგმოთ ახალი მეთოდები ჩვენს ბიბლიოთეკაში. ჩემი მოკრძალებული რჩევა კოლეგების მიმართ იქნება, რომ არ შევუშინდეთ სიახლეებს და ფეხი ავუწყოთ ახალ-ახალ გამოწვევებს, რათა სოფლის ბიბლიოთეკებმა გავამართლოთ საბიბლიოთეკო ასოციაციის გამოცხადებული ნდობა და ზრუნვა.

2019 წლის 7 აპრილს მოხდა სამარცხვინო ფაქტი. არასრულწლოვანმა პირებმა ვეჯინის ბიბლიოთეკა დაარბიეს, ცეცხლი წაუკიდეს და გაანადგურეს წიგნადი ფონდი და კომპიუტერული ტექნიკა.

საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით შეიქმნა ვეჯინის ბიბლიოთეკის მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა მრავალი ადამიანი და ორგანიზაცია. პირველი გამოგვებმურა თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება, რომელმაც ბიბლიოთეკას სააჩუქრად გადასცა 3088 ლარის ღირებულების 365 ცალი ახალი თანამედროვე, მოთხოვნადი წიგნი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა, ქალბ. რუსუდან ასათიანმა, გარდა ახალი წიგნებისა, ბიბლიოთეკას გადასცა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIIPA), საჩუქარი - პრინტერი და პერსონალური კომპიუტერი, ხოლო ევროპულ-ქართულმა ინსტიტუტმა (EGI) და გიორგი საბაძემ ლეპტოპი ბიბლიოთეკას წიგნები გადმოსცა მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის წარმომადგენლებმა, აგრეთვე ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ და კერძო პირებმა. ბიბლიოთეკისათვის შემონიშნული თანხით კი შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი.


რეაბილიტირებული ბიბლიოთეკა 2019 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიხსნა. განახლებული ბიბლიოთეკა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერმა, არჩილ ხანდამაშვილმა, საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოების პრეზიდენტმა, ქალბ. რუსუდან ასათიანმა და საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა, ქალბ. სალომე ბოგვერაძემ გახსნა სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკა კიდევ ერთხელ იხდის მადლობას, იმ დიდი თანადგომისა და გვერდში დგომისთვის, რაც ქალბ. რუსუდან ასათიანმა და მისმა გუნდმა გახსნა ვეჯინის სასოფლო ბიბლიოთეკისათვის და სოფელს აჩუქა თანამედროვე წიგნებითა და ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.



### რა უნდა გააკეთოთ თქვენ:



- არ დავჯერდეთ მიღწეულ წარმატებებს
- მუდმივად ვისწრაფოდეთ როგორც პროფესიული განვითარებისათვის, ისე მუშაობაში ახალი ფორმების დანერგვისათვის.
- დავწერგოთ და გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები



**სოფელ ვეჯინის ახლად რეაბილიტირებული ბიბლიოთეკა, სრული დატვირთვით მუშაობს. არდადეგების მიუხედავად, ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობენ ბავშვები**

სოფ. ვეჯინის ბიბლიოთეკა



## კოროსკონდენსიები

### მაია მიქაბერიძე

#### ჟურნალი „ისინდი“

საქართველოს ისტორიაში, ტრადიციულად, ლიტერატურული ჟურნალის დაფუძნება მხოლოდ ლიტერატურულ მოვლენა არ იყო. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მწერლობის როლსა და ადგილს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამიტომ ყოველი ახალი პერიოდული გამოცემის გამოჩენა საზოგადოებისათვის ყურადსაღები ფაქტია.

ჩვენი მიმოხილვის ობიექტი არის ლიტერატურული ჟურნალი „ისინდი“, რომელსაც წელს, ივნისში, დაარსებიდან ორი წელი შეუსრულდა. „წლების მანძილზე ნალოლიავები ოცნების განხორციელება მუხლჩაუხრელი შრომის, დაძაბული ფიქრისა და ერთ მუშტად შეკრული საიმედო ბირთვის ძალიხმევის სასურველი შედეგია. „ისინდი“ სწორედ ეროვნული ცნობიერების განსამტკიცებლად დაარსდა...“ - ნათქვამია რედაქტორის წინათქმაში (2017, N2). ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს გამოცემის მიზანსა და ჩანაფიქრს. „ისინდის“ რედაქტორი, ქალბატონი იკა ქადაგიძე, მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი, ამ ჟურნალის სული და გული, მისი იდეური წარმმართველია. ყოველ ნომერს ახლავს რედაქტორის წინათქმა, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ მიიღო საზოგადოებამ ეს გამოცემა, რა გამოხმაურებები ჰქონდა, გაანალიზებულია გავრცელებისა და ჟურნალის მიმართ მკითხველთა დაინტერესების საკითხები. ამავე დროს, მისი ყურადღების მიღმა არასოდეს არ რჩება უმთავრესი - ჟურნალის მნიშვნელობა და ადგილი დღევანდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში. რედაქტორისათვის განსაკუთრებით საამაყოა ის, რომ „ყველაზე მეტრძოლი, ეროვნული პროფილის მქონე ჟურნალი „ისინდი“ საკუთარ პრინციპებს არ ღალატობს“. „ვწეროთ

და დავიცვათ ის, რაც ქართული მწერლობისათვის ფასეული და სისხლხორცეულია, ჩვენი მუდმივი დევიზია“ - ასე განსაზღვრავს ი. ქადაგიძე ჟურნალ „ისინდის“ არსებობის მიზანს.

რედაქტორის წინათქმების პარალელურად, ჟურნალში იბეჭდება იკა ქადაგიძის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ეხება ქართული კულტურისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა პრობლემურ საკითხს - ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, პოლიტიკას, ქართულ ეკლესიას, ქართულ კინოხელოვნებასა და სხვა. („ცოცხალი წიგნების პროექტი - ფულის დიქტატურის, ნომენკლატურული იდეოლოგიისა თუ მზაკვრული პოლიტიკის სამიზნე?!“; „თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგადი ტენდენციების შესახებ“; „საქართველოს უახლესი პოლიტიკის ისტორია დასავლურად“; „ამბროსი ხელაიას „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“ და სხვ. გარდა ასეთი მეტრძოლი, უკომპრომისო სტატიებისა, ქალბატონი იკა არის მშვენიერი ლექსების ავტორიც, რომლებთაგან რამდენიმეს მკითხველი გაეცნობა რუბრიკაში „ერთი ლექსის გაელვება“ (N1, N6, N7).

საერთოდ, საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივი შემოიკრიბა ჟურნალ „ისინდის“ ირგვლივ. სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან მუდმივი და დროებითი წევრები, ასე გამოიყურება: ლერი ალიმონაკი, რეზო ემელიანე ადამია, დავით არახამია, ციალა არდაშელია, ბონდო არველაძე, ნინო ბაქანიძე, ლევან ბებურიშვილი, აკაკი ბრეგაძე, ლაშა გვასალია, მარინა თექთუმანიძე, დალი კახიანი, მარსიანი, თეიმურაზ ნადარეიშვილი, სევარიონ ნადირაძე, ბადრი პატაშური, ერეკლე საღლიანი,



გიორგი შიშნიაშვილი, კობა ცხაკაია, რუსუდან ჭანტურიშვილი, გიგი ხორნაული. მათი ნიჭის, ერუდიციისა და მხატვრული ალღოს შედეგია ამ ჟურნალის ყველა გამართული ნომერი.

მასალები, როგორც მიღებულია, განაწილებულია რუბრიკებად, რომელთა დიდი ნაწილი მხატვრული ლიტერატურას ეთმობა. ჟურნალში იბეჭდება სხვადასხვა თაობის შემოქმედთა ნაწარმოებები, რომელთაგან ზოგი უკვე აღიარებულია საზოგადოების მიერ, ზოგის ნიჭი და პოეტური სიტყვა ბევრისათვის დღეს აღმოჩენა შეიძლება გახდეს, ზოგი კი ახლა იწყებს ლიტერატურულ ასპარეზზე თავის დამკვიდრებას. მკითხველი ეცნობა (ან იხსენებს) დავით არახამიას, ნინო ბაქანიძის, დალილა ბედიანიძის, მანანა ბრაჭულის, აკაკი ბრეგაძის, მარინა თექეთუანიძის, ვანო თორელის (გელაშვილის), დალი კახიანის, გიორგი კორნაპელის, ბადრი პატაშურის, ერეკლე და ვალერიან საღლიანების, მიხეილ ღანიშაშვილის, გიორგი შიშნიაშვილის, კობა ცხაკაიას, თეიმურაზ ჭანტურიშვილის, რუსუდან ჭანტურიშვილის, გიგი ხორნაულის, მარინა ხუჭუას, გია ჭიჭონაიასა და სხვათა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, ასევე თარგმანებს.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი

კოლეგა გიორგი კილაძე, რომელიც გარდა იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში არაერთი საინტერესო საგანმანათლებლო პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორია (მაგ. ციფრული პროგრამა „სასკოლო ლიტერატურა“, ელექტრონული ლექსიკონები და სხვ.), ასევე საინტერესო შემოქმედიცაა. მისი მხატვრული თხზულებები გრძნობისა და ერუდიციის უჩვეულო ნაზავია და მკითხველს, სხვა ღირსებებთან ერთად, ამ ნიუანსითაც იზიდავს.

საინტერესო და მრავალფეროვანია „ისინდის“ ლიტერატურული კრიტიკა. აქ წარმოდგენილია რეცენზიები, სტატიები ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის შესახებ, მოგონებები და ა.შ. მარსიანის პოეზიის პარალელურად მკითხველი ეცნობა მის ნააზრევს საზოგადოებრივი ცხოვრების თუ ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. სტატიებში „ზვიადი და მამარდაშვილი“; „გოგის მეომრის ვნებანი“; „გალაკტიონი და გრანელი“ და სხვა, მკითხველის ინტერესს იწვევს ავტორის მსჯელობა, თემის ანალიზი და გამოტანილი დასკვნები.

ღევან ბებურიშვილის ნაშრომში „ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ“, ჩამოყალიბებულია დიდი პოეტის ხედვა ამ ცნების მიმართ: „ვაჟა-ფშაველას მიხედ-

ვით, თავისუფალი, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, ადამიანი მაშინ არის, როდესაც შეჭირვებულია საქვეყნო სატკივრით. თავისუფლება უზრუნველობა, პასუხისმგებლობისაგან გაქცევა კი არაა, არამედ მოქმედება, სწრაფვა თვითგანვითარებისაკენ, საკუთარი თავის ფლობისაკენ, თვითსრულყოფისაკენ“ - ნათქვამია დასკვნის სახით.

ვახტანგ ჯავახაძის წერილში „მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“ გალაკტიონის პოეზიის მიმართ ერთი ცნობილი ცისფერყანწელის (ავტორი საგანგებოდ შეფარვით მიუთითებს მის ვინაობას) მიერ გამოთქმულ უხამს შენიშვნებს აცნობს მკითხველს და აჩვენებს თუ რა შეუძლია გააკეთებინოს ჩვეულებრივმა ადამიანურმა შურმა ნიჭიერ შემოქმედსაც კი.

ღერი ალიმონაკის სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი დაკავშირებულია ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევასთან. თუმცა ჟურნალში გამოქვეყნებული მისი სტატიები ამ თემის გარდა, სხვა საკითხებსაც მოიცავს. გარდა ლიტერატურული კრიტიკისა, ლ. ალიმონაკი არის ასევე შესანიშნავი პოეტიც - მის პოეზიას მკითხველი გაეცნობა ჟურნალის მე-7 ნომერში.

ჟურნალის ერთ-ერთი ღირსება მის მუშაობაში სხვადასხვა სფეროს მეცნიერთა ჩართვაა. ცნობილი არმენოლოგი ბონდო არველაძე არის რედკოლეგიის წევრი და არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ჟურნალ „ისინდში“ დაიბეჭდა მისი სტატიები „ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში“, „კვლავ ქართული ეკლესიების შესახებ“, თანდოიანის ღვთისმშობლის ეკლესია თბილისში“ (და სხვ.), რომლებშიც ლოგიკური მეცნიერული მსჯელობითა და

რეალური არგუმენტებით ასაბუთებს სომეხთა მხარის პრეტენზიების უსაფუძვლობას ქართული კულტურის ამა თუ იმ ძეგლთან დაკავშირებით. ბ. არველაძის შრომა ილიას „ქვათა ღაღადისა“ და სხვა ქართველ მეცნიერთა ბრძოლის გაგრძელებაა, რომელსაც არ უნდა დააკლდეს შემართება და ჟინი. საჭიროა მუდმივი მზადყოფნა მორიგი შემოტევის მოსაგერიებლად. თუკი პრეტენზიული მეზობლის მუდმივი აშკარა თუ ფარული ქმედებები დაგვლლის, დავკარგავთ ჩვენი ხალხის შრომითა და ნიჭით შექმნილ ქართული კულტურის ბევრ ძვირფას ძეგლს. ბ. არველაძე სწორედ ასეთ დაულალავ მებრძოლად წარმომიდგენია. გარდა სომხური საკითხისა, ბ. არველაძემ საზოგადოებას შესთავაზა მწერალ ლევან გოთუას საქმესთან დაკავშირებული მეტად საინტერესო სტატია, რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოამზადა მკვლევარმა.

ცალკე თემაა ჟურნალის ყველასაგან გამორჩეული დიზაინი. თითოეული ნომრის გარეკანის მხატვრულ გაფორმებაზე იმუშავეს თვით ჟურნალის ავტორებმა-პოეტებმა, მხატვრებმა: რეზო ემელიანე ადამიამ, თამარ ლომიძემ, დალი კახიანი და მარსიანმა. ბუნებრივია, რომ ნახატების თემატიკა ლიტერატურის სფეროს მოიცავს. განსაკუთრებით საინტერესოა მარსიანის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, რომლებმაც პოემის უკვე ცნობილი ილუსტრაციათა მრავალფეროვან სამყაროს ახალი ხედვა და ახალი ფერები შემატეს.

ჟურნალი „ისინდი“ მუდმივ ძიებაშია. იგი აქტიურად თანამშრომლობს ყველასთან, ვისაც კი შეუძლია თავისი სათქმელით გაამდიდროს მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი მდიდარი ქართული მწერლობა.



## ვაჭაობა-2019

თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ თონეთში 29 ივნისს, კულტურული ღონისძიება - „ვაჭაობა“ გაიმართა, რომელიც უკავშირდება 1886-1888 წლებში დიდი ქართველი მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის - ვაჟა ფშაველას პედაგოგიურ მოღვაწეობას თონეთში.

ღონისძიების ფარგლებში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ვაჟა-ფშაველას სახელობის თონეთის სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლის დაარსების ინიციატივაც, ამავე სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდა მწერალს, დათია ბადალაშვილს ეკუთვნის. თონეთის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობაში და წიგნადი ფონდის გამდიდრებაში წვლილი შეიტანეს: საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, თეთრინყაროს მთავარმა ბიბლიოთეკამ, გამომცემლობებმა, მწერლებმა, ხელოვანებმა და სხვადასხვა რეგიონის ბიბლიოთეკებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კერძო კომპანიებმა. სოფლის ბიბლიოთეკას წიგნები საჩუქრად გადასცა ასევე თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის მე-

რიამ და ააიპ კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება-კულტურისცენტრმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: თეთრინყაროს მაჟორიარი დეპუტატი გოდერძი ჩანქსელიანი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, მოადგილე კახა კობერიძე, თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ქორიძე მოადგილეებთან ერთად, მოწვეული სტუმრები: ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, ფოლკლორისტები: ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, სასულიერო პირები, ქართველი მწერლები, პოეტები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, კულტურის სფეროს მოღვაწეები, ხელოვანები, საგამომცემლო ორგანიზაციების, კერძო კომპანიების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა.



## ლია გიგაური

**ჰარუთიუნ (არუთინ) თუმანიანის „ალმოჩენა“**

გასული საუკუნის 90-იან წლებში მე, როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის(დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ასპირანტს, ამავე ინსტიტუტის საარქივო ფონდში დაცული სომეხი მწერლის - ჰარუთიუნ თუმანიანის - არქივის გაცნობა, დამუშავება და მოწესრიგება დამევალა. მანამდე თუმანიანთა გვარის არაერთი წარმომადგენლის მოღვაწეობას ვიცნობდი(რომ არაფერი ვთქვათ, სომეხთა დიდ ვარპეტზე - ოვანეს თუმანიანზე), ჰარუთიუნ თუმანიანზე კი არაფერი მსმენოდა. თუმცა ეს ჩემი უცოდინრობისა და უგულისყურობის ბრალი როდი იყო - არსად, სომხური ლიტერატურის ქრესტომათიის არცერთ ავტორთან გაკვრითაც კი არ იყო ნახსენები მისი გვარ-სახელი.

ჰარუთიუნ თუმანიანი - დიდებული პიროვნება, სომხური ლიტერატურის კლასიკოსი, მწერალი, დრამატურგი, პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე სომხეთში(ერევნის გუბერნიის ქვემო აგულისა) იყო დაბადებული და მთელი ცხოვრება საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში ჰქონდა გატარებული. მისი სიცოცხლის წლები(1869-1943) ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების აღმავლობის ხანას დაემთხვა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ილია, აკაკი, ვაჟა და ყაზბეგი. ბედმა მას ქართული ლიტერატურის ამ კორიფეთა თანამოკალმეობა და თანამედროვეობა არგუნა. თითქმის ერთდროულად იწერებოდა და იბეჭდებოდა მათი ნაწარმოებები. თქვენ შეიძლება ზედმეტადაც მოგეჩვენოთ ამ მწერალთა გვერდით ჰ. თუმანიანის დაყენება, თუმცა, როცა საქმის არსში ჩაიხედავთ, შეხედულებას უმაღ შეიცვლით.

ეს ის პერიოდია, როდესაც ქართული ჟურნალ-გაზეთების („ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ნობათი“...) გვერდით როგორც ქართულ, ისე სომხურ სტამბებში იბეჭდებოდა სომხური ჟურნალ-გაზეთებიც, მათ შორის, „ალბიური“, „ტარაზი“, „ლუმა“ და სხვ. ჭაბუკობი-

დანვე დაუწყია ჰარუთიუნს ამ სომხურ პერიოდულ გამოცემებში თავისი ნაწარმოებების ბეჭდვა და მალევე გამხდარა მათი მუდმივი თანამშრომელიც. არქივში დაცულ ბიოგრაფიულ მონაცემებში მითითებულია, რომ მას დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი ენის, ლიტერატურისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სპეციალობით, ხოლო რომელი იყო ეს სასწავლებელი, რუსეთის იმპერიის რომელ ქალაქში მდებარეობდა და რა დისციპლინებს გადიოდა იქ მომავალი მწერალი, არ ჩანს. თუმცა თბილისის გიმნაზიებში მისი მასწავლებლობის პერიოდის დასადგენად დიდი ძალისხმევა არ უნდა იყოს საჭირო, მით უმეტეს, რომ მას თბილისის მე-4 ვაჟთა, მე-2 ქალთა და წმინდა ნინოს სასწავლებელში უმოღვაწი(ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ დროს საქართველოში 28 ვაჟთა გიმნაზია იყო, აქედან თბილისში მხოლოდ 8. მე-3 ვაჟთა გიმნაზიაში, ძირითადად, არაქართველები ასწავლიდნენ, ხოლო მეოთხე ვაჟთა გიმნაზიაში(1905-1921), უპირატესად, ქართველები იყვნენ, დირექტორად კი მიხეილ ზაალიშვილი ჰყავდათ. მაშინდელ გიმნაზიებში მოღვაწე პედაგოგთა შესახებ კი ბევრი არაფერია ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა უმეტესობა მაშინ სკოლებში პედაგოგობდა). ამ გიმნაზიებზე ჩვენ მიერ მოძიებული ცნობები საკმაოდ მწირია და არც იქ არის თვალსაჩინოდ წარმოჩენილი ჰ. თუმანიანის სახელი.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ჰარუთიუნი სამხედრო პირიც ყოფილა, თადარიგის უფროსი, ამიერკავკასიის ჯარების ცალკე პოლკის სამხედრო სკოლების ინსპექტორი. ასევე არ არის დაზუსტებული, თუ სად, როდის და როგორ იმოღვაწევა მან სამხედრო სფეროში. ან იქნებ ეს ის ჰარუთიუნ თუმანიანია, რომელიც 1918 წელს შექმნილ ყარაბაღის სომეხთა ეროვნულ საბჭოში(ასევე არსებობდა თბილისისა და ბაქოს სო-

მეხთა ეროვნული საბჭოებიც) სამხედრო დეპარტამენტს, ხოლო 1920 წელს მთიანი ყარაბაღის ადმინისტრაციულ ორგანოში ლტოლვილთა დეპარტამენტს ედგა სათავეში. ამ მხრივ, კიდევ ბევრი რამეა გასარკვევი.

3. თუმანიანის შესახებ დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი 1917 წელს მიიღეს „საქართველოს მწერალთა საზოგადოების“ წევრად, ხოლო ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ - „საქართველოს მწერალთა კავშირის“ მუდმივ წევრად. თუმცა აქაც მიჩქმალულია მისი ღვანლი და ქართველ მწერალთა საზოგადოების წევრად მხოლოდ არტემ ახნაზაროვის გვარ-სახელს იხსენიებენ, ჰარუთიუნ თუმანიანი კი, ბედის სიმუხთლით, „და სხვებში“, ალბათ, იგულისხმება.

მაშ, საიდან ვადგენთ, რომ 3. თუმანიანი დიდებული მწერალი და მთარგმნელი იყო? - მხოლოდ და მხოლოდ მისი ნაწარმოებების უშუალო გაცნობით, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა თბილისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში: 1) „ალბიურში“, ტიგრან ნაზარიანის რედაქტორობით გამომავალ პირველ საბავშვო ილუსტრირებულ ჟურნალში(1883-1918), სადაც დიდი ადგილი ეთმობოდა პედაგოგიური შინაარსის სტატიებსა და ფოლკლორს. ამ ჟურნალში აიდგეს ფეხი რაფიმ, პ. პროშიანმა, ღ. ალაიანმა. ოვ. თუმანიანმა, ლეომ და სხვებმა; 2) ლიბერალური მიმართულების „ტარაზში“(1890-1919), რომელიც 1900 წლამდე „ალბიურის“ ილუსტრირებული დამატება იყო. ამ ჟურნალში პოლიტიკურ მიმოხილვებსაც ეთმობოდა ადგილი და ლიტერატურასაც, ენათმეცნიერულ რეცენზიებსაც და შემოქმედებასაც; 3) „ლუმასში“(1896-1912,1915), რომლის რედაქტორი ღ. ალანიანცი იყო და ეს ჟურნალი ლიტერატურულ-პოლიტიკურ-ისტორიულ-საზოგადოებრივ საკითხებს უთმობდა ძირითად ყურადღებას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემების საარქივო ფონდებში დაცულია „ალბიურის“ 34, „ალბიურ-ტარაზის“ 27 და „ლუმას“ 11 ტომი, აგრეთვე როსტომ ზარგარენცისა და ჰარუთიუნ თუმანიანის რედაქტორობით ზოკურ ენაზე(სომხური ენის აგულისას დიალექტი) გამომავალი „ზოკი ქროგის“(ზოკის

ხმა“-ილუსტრირებული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გამოცემა) ორი ნომერი.

ზემოხსენებული სომხურენოვანი ჟურნალები თბილისში თავართქილაძის, ქუთათელაძის, შარაძის, „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის“, ალანიანისა და როტიანიანცის სტამბებში იბეჭდებოდა. დღეს ისინი, თბილისის გარდა, დაცულია სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის, მაშტოცის სახ. ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის-მატენადარანის, სომხეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ერევნის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში ჰარუთიუნ თუმანიანის მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მოღვაწეობის(ძირითადად, ისტორიულ და სოციალურ თემატიკაზე) ამსახველი მასალები უხვადაა წარმოდგენილი, რომელთა სახელწოდებები ჯერ გადმოვაქართულე, ხოლო შემდეგ ჟანრობრივად ასე დავალაგე:1) დრამები: „ოჰანი“, „ლევონი“, „მზითევი“... 2) ტრაგედია“ლამაზი არა“; 3)კომედიები: „ამოინოს ქორწინება“, „ვერცხლის ქორწილი“...; 4) პიესები: „კნიაზ შაშკენი“, „ალი“, „პირ პული“, „ქვეყნის აღსასრული“, „მგელკაცა“...; 5) ოპერეტები: „ეშმაკი“, „თუ ფული გაქვს, შენა ხარ, თუ არადა, - დაღლი ხარ“...; 6) მოთხრობები: „O tempera, O mores“, „სანდროს ქორწილი“, „აკრძალული ხილი“...; 7) პოემები: „სამხედრო სიმღერები“, „ესპანური მელოდიები“, „ზღვის ასული“, „მელიქ-იუსუფი“...; 8) მოხსენებები: „ მარხვა და მისი მნიშვნელობა“, „სომხური აშხარაბარის ენის მოკლე ეტიმოლოგია“, „სომხური აშხარაბარის ენის სიტყვათშეთანხმება“, „ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავისადმი“...; 9) ლექსების კრებულები(გასაბჭოებამდელი და საბჭოთა პერიოდის); 10) თარგმანები: ილია ჭავჭავაძის „ რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „კაცია-ადამიანი?“, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, ა. პუშკინის ნაწარმოებთა თარგმანები.

3. თუმანიანის ნაწარმოებების ზემოთ მოყვანილი ნიმუშები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მხოლოდ მოკლე ანოტაციად შეიძლება ჩაითვალოს. იქ სულ 92 ერთეულია წარმოდგენილი და მათში, ლიტერატურულ-პუბლიცისტური

ნაღვანის გარდა, დაცულია აგრეთვე მისი წიგნები, მიმოწერა და ფოტოსურათები საოჯახო ალბომიდან.

ცალკე მინდა გამოვყო და განსაკუთრებულად შევეხო ჰარუთიუნ თუმანიანის მიერ თარგმნილ ილიასა და ვაჟას ნაწარმოებებს, მით უმეტეს, რომ მისი სახელი ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას სომეხ მთარგმნელთა შორის არსად იხსენიება, რაც, უდავოდ, გასაკვირია, რადგან ჰ. თუმანიანის მსგავსი მთარგმნელი ზემოაღნიშნული ქართული სალიტერატურო ძეგლებისა, მერწმუნეთ, ძნელად თუ მოიძებნება სადმე. როცა პირველად გავეცანი ამ თარგმანებს, გავოგნდი. ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანილი პოეტური ნაწარმოებები, რითმა და რიტმი ქართული ენისა სომხურ ენაზე იმავე მუსიკალობით, მეტრიკითა და წყობით შენარჩუნებული, მართლაც, გასაოცარია. წარმოიდგინეთ ფშავ-ხევსურულ კილოზე დაწერილი ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“ სომხურად

და თანაც ისეთი წყობილსიტყვაობით, ჟღერადობით, როგორც ეს დედანშია. ამ თარგმანს მე ორიგინალში, ხელნაწერში გავეცანი და მაშინ, ქსეროასლების გადამღები აპარატების არარსებობის გამო, თაბახის ფურცლებზე ხელით გადმოვიწერე. ეს არის ნიმუში გენიალური თარგმანისა, რომელიც ზედმინევნით ალაღმართალი და უნიჭიერესი ადამიანისაგან არის შესრულებული.

ჩვენ უფლება არ გვაქვს, დავინწყებულები გვექონდეს მისი სახელი, შემოქმედის, რომელმაც ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს?!“ თარგმანშიც შეუნარჩუნა თავისი ღონიერი სიტყვაკაზმულობა და თხზულების სათაურიც სომხური ასოებით უთარგმნელად გადაიტანა სომხურ ენაზე.

ჩემი მოსაზრებები და შეხედულებები რომ გავამყარო, ქვემოთ მოვიყვან ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ პირველი თავის დედნისეულ და თარგმანისეულ(ქართული ტრანსკრიფციით) ტექსტებს:

„ღამის წყვიდში ჩაფლული,  
გამტკნარებულის სახითა  
მოსჩანს ქისტეთის მიდამო  
სალის კლდეების ტახტითა.  
ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე  
გულამღვრეული ჯავრითა  
გადმოხრილიყვნენ მთანიცა  
ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა  
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე  
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა.  
ძმის მკვლელის სისხლი სწყურია  
კაცი რამ მოდის გზაზედა  
გზას ვამბობ, თორემ რა გზაა  
ვინრო ბილიკი კლდეზედა  
სავალად მეტად ძნელია  
ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა.  
გაღმა სჩანს ქისტის სოფელი  
არწივის ბუდესავითა  
საამო არის საცქერლად  
დიაცის უბესავითა  
სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა  
დაფიქრებულის სახითა  
ყურს უგდებს არემარესა  
გულლაღობს სანახავითა  
სტუმარი ცოტა ხანისა

გიშერაინ მუთ ხავარუმ,  
დემქ დჟგუინ მრაილოტ-  
ჰოლნ ე ქისტის, ტეს, იერესუმ,  
ისკ ენ ძორუმ ჟაიროტ.  
გეტნ ე ჰოსუმ ლაფინ ტალოვ,  
ზურ კატლან აფინ ტალოვ,  
თექ ენ ნკელ ვერიც ლერნერ  
უ ლვანუმ იერეს, ძერნერ.  
თეპეტქ არიან ჰეტქ ჩი მნაცელ,  
ბაიც სარერი ბარძრ ლანჯინ  
ახპერ ახპორ შატ ე სპანელ,  
არიუნ თაქნელ ენ ნელ ჭამფინ...  
ჭამფა კასემ, ვორ ძერ გიტცან  
ანზგუიშ მი ქაილ - კნკნეს დუ ცან...  
არწვი ბნი ნმან ჰესვუმ  
გიულნ ე ქისტის, ტეს, იერესუმ  
მი ჰრაშალი, გელ ტესარან  
ზაჰელ კნოჯ ნოცი ნმან.  
გიული გლხინ მეგ ნსტან  
მტანმუნქნერი ხორასუზვან,  
აკანჯ ე ნა, ასეს, დნუმ,  
ტესარანოვ სქანჩანუმ  
ჰურ ე იეკელ ესორ ესტელ  
ვალ საროვ ჰერთა აილ ტელ.  
აშხატინ ე ვოლჯ ნა მთნაინუმ,

ხვალ სხვაგან წავა აქითა  
წავა, გადივლის გორებსა  
ქედებსა ჭიუხიანსა  
აბნელებს, უხილავად ჰქმნის  
ქვეყანას ხილულიანსა.  
თუ მონადირეს ატირებს  
გზადაკარგულსა კლდეშია,  
ახარებს მგელსა და ქურდსა  
მოარულთ სიბნელეშია.

ხელჭ ვორსვორდინ მოლორაცნუმ,  
ისკ გოდერინ უ გაილერინ  
პატსპარუმ სარუმ მთინ.

ამ სტრიქონებს პოეტურ მუსიკალობაში გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმაც რომ დაუგდოს ყური, მაშინვე შეამჩნევს მათი ჟღერადობის ერთნაირობას.

ჰარუთიუნ თუმანიანის სახელი შეტანილი უნდა იყოს არა მხოლოდ სომხური ლიტერატურის ქრესტომათიებში, არამედ თარგმნის ისტორიისა და თეორიის სახელ-

მძღვანელოებშიც.

მტვერნაყრილი, უსამართლოდ დავინყებული სახეები ფერფლიდან კი არ აღდგება, არამედ მათივე პათიოსნად გავლილი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან, რაც ასე მორიდებითა და უხმაუროდ დაგვიტოვებს.

**სტატია მომზადებულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდში დაცული არუთიუნ თუმანიანის ფონდში მიკვლეული მასალებით.**

## ნიკოლოზ მაჭავარიანი

### მადლობა თქვენ, ქართული ენის ჭეშმარიტო გუზაგო!



კიდევ ერთხელ მინდა, პატივისცემა გამოვხატო ხარაგაულის ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრი“-ს (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) მიმართ, რომელიც ახორციელებს ძალზე საჭირო და ღრმაშინაარ-

სიან პროექტს „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“.

ვინ მოთვლის ამ ნიჭიერად გააზრებული პროექტით რამდენი ადამიანის ღვანლს გავცანით უფრო ახლოს, რამდენ მათგანთან ჩავებით დიალოგში და უშუალოდ მივიღეთ დამაჯერებელი პასუხები ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე.

ასე იყო იმ დღეს, 16 მაისს, როცა აღნიშნული პროექტით ხარაგაულს, ცენტრალურ ბიბლიოთეკას, სტუმრობდა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართული ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკი-



დებლობის აქტზე ხელისმომწერი, 300-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და კიდევ მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი, ქართული ენის ქეშმარიტი გუშაგი და, მართლაც, ფუტკარივით მშრომელი კარგი ქართველი, ბატონი ტარიელ ფუტკარაძე.

შეხვედრა ძალზე საინტერესო რეჟიმში წარიმართა. მოხდა პრეზენტაცია ბატონ ტარიელ ფუტკარაძის წიგნისა „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“. ამ ფუნდამენტური ნაშრომის შესახებ ისაუბრეს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა: ლუკა დვალიშვილმა და წიგნის რეცენზენტმა ეკა დადიანმა. როგორც ცნობილია, წიგნმა გამოსვლისთანავე სწავლულთა და ქართულ ენასთან დაკავშირებული პრობლემების გაცნობა-გაცნობიერების მსურველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ასე იყო ამჯერადაც, ხარაგაულის ინტელექტუალური საზოგადოების წარმომადგენლებმა: საგანმანათ-

ლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ, კულტურის და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა, ისტორიული მუზეუმის ფონდის მცველმა ეკატერინე შველიძემ, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრის ხელმძღვანელმა იზა ვეფხვაძემ, წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ისტორიის პედაგოგმა ზეინაბ ბუაჩიძემ დასმულ საინტერესო კითხვებზე შესატყვისი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხები მიიღეს სტუმრისაგან.

ამ პატარა წერილით მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ბატონ ტარიელ ფუტკარაძის მიმართ, რადგან მისი სამეცნიერო მოღვაწეობის უმთავრესი სფერო არის ქართველოლოგია, ენათმეცნიერება, ქართული ენა და ის უმთავრესი ორიენტირი, რაც ერის გადარჩენის, ერის არსებობის ნიშანსვეტია.

მადლობა თქვენ, ბატონო ტარიელ, ქართული ენის მუხლჩაუხრელო გუშაგო.

## რეცენზიები


მზია ტოგონიძე

### ნაშრომი ძმები ზუბალაშვილების შესახებ

ზემოხსენებული სათაურით 2019 წელს გამოვიდა ემერიტუსი პროფესორის ჟუჟუნა ფეიქრიშვილის მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება საქართველოში ცნობილი საზოგადო მოღვაწეებს კათოლიკე ზუბალაშვილებს, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით და სანიმუშო მეცენატობით დაადასტურეს ქართველი კაცის ღირსება, კაცმოყვარეობა და როგორც მისაბაძი მაგალითი ანდერძით დაუტოვეს მომავალ თაობებს.

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს 2011 მისივე ავტორობით გამოცემული მონოგრაფიის „ზურაბაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან“ გაგრძელებას, რომელიც დღეს უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, რადგან ამ ხნის მანძილზე დაგროვდა ბევრი ახალი ინფორმაცია, საარქივო და ფოტო დოკუმენტური მასალა ავტორს მკითხველისათვის საინტერესო საკითხებზე, რომელიც განაპირობა უცხოეთიდან ძმების პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების პირადი არქივის მასალების ჩამოტანამ და ავტორის თქმით „მონოგრაფიაში წარმოდგენილი მასალა უშუალოდ დოკუმენტებზე დამყარებული მსჯელობა, რომელიც უშუალოდ და ობიექტურად მოგვითხობს ერთი გვარის რამოდენიმე წარმომადგენლის ცხოვრებაზე, საქმიანობასა და სულიერებაზე.

პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე ჩვენი ყურადღება მიიპყრო მონოგრაფიაში „ზუბალაშვილების სახალხო სახლის წიგნადი ფონდის ბედს ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში“. მიძღვნილმა თავმა, რომელიც მოგვითხრობს ლევან, სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების მიერ - მამის კონსტანტინეს ხსოვნის პატივისცემის ნიშნად აეშენებინათ „სახალხო სახლი“, ანუ ღარიბთა ხელმისაწვდომი იაფფასიანი თეატრი, რომელიც იქნებოდა მუშების საკუთ-



რება განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

„სახალხო სახლი“ საზეიმოდ აკურთხეს 1909 წელს. იგი მალე იქცა კულტურის ცენტრად. აქ იკრიბებოდნენ იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, ინტელიგენცია აკაკი წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ივანე გომართელი და სხვები და ეს სახლი წარმოადგენდა დედაქალაქის კულტურულ ცენტრს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თეატრს ჰქონდა წიგნადი ფონდით მდიდარი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და უფასო სარაიე მკითხველთათვის.

1930 წლიდან ძმებ ზუბალაშვილების მიერ ხალხისათვის საჩუქრად აშენებული „სახალხო სახლში“ ბინა დაიდო კოტე მარ-



ჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატურმა თეატრმა და 1929 წელს „სახალხო სახლის“ ბიბლიოთეკამ და სამკითხველო დარბაზმა თავისი უნიკალური ფონდით გადაინაცვლა სხვა შენობაში ( ალ. შეროზიას ქუჩაზე) და უწოდეს 'ალ. ჯაფარიძის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა.

2008 წელს ეს კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი - ზუბალაშვილების „სახალხო სახლის“ უნიკალური წიგნადი ფონდით და იქაური დარბაზის დგამ-ავეჯით განთავსებულია გ. ტოვსტონოგოვის ქუჩის N22-ში ორსართულიან ევროპული სტანდარტებით კეთილმოწყობილ შენობაში და მას ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა ეწოდა.

აქ ყოველწლიურად საზეიმოდ აღინიშნებოდა ბიბლიოთეკის დაარსების თარიღები, ასე იყო 2013 წლის 18 მაისს ბიბლიოთეკის დაარსების 104 წლისთავზე, რომელზეც სხვა სტუმრებთან ერთად მოწვეული იყო ქ-ნი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, როგორც 2011 წელს გამოცემული მონოგრაფიის ავტორი ძმები ზუბალაშვილების ღვანლის მკვლევარი და დამფასებელი, რომელიც დანვრულებით აღწერს მაშინდელი მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის და მისი თანამშრომლების უდიდეს ღვანლს და დამსახურებას, ისტორიისადმი პატივისცემას და მათ სურვილს, რომ მთავარ ბიბლიოთეკას ეწოდოს ძმები ზუბალაშვილების სახელი.

ქ-ნი ჟუჟუნა ფეიქრიშვილი 2018 წლის დე-

კემბერში მონოგრაფიის ზოგიერთი ფაქტორის დასაბუხტებლად კვლავ ეწვია თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას, სადაც იმ უნიკალური ფონდებიდან და ავეჯიდან, რომელიც ასე უნახავადა მთავარ ბიბლიოთეკას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად „ძველ დიდებას“ თითქმის აღარაფერი დარჩა.

დღეისათვის ტოსტონოგოვის ქ.N22 განთავსებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფილიალი, დირექციით და განყოფილებებით და იმედია ახალი დირექცია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად არ დაივიწყებს ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ისტორიას და ძმები ზუბალაშვილების მიერ გაწეულ ღვანლს თანამედროვე ახალგაზრდების სულიერი აღზრდის საქმეში.

მონოგრაფია „ზუბალაშვილების ცხოვრების - გზა სიკეთის მსახურებისა“ წარმოადგენს პროფესორ ჟუჟუნა ფეიქრიშვილის უდიდესი მონდომებით და მკვლევარისათვის დამახასიათებელი დაუღალავი ძიებით შექმნილ შესანიშნავ საქუქარს, რომლის ფორმა და შინაარსი გამოყენებული ბიბლიოგრაფიული წყაროები, ფოტოდოკუმენტალური მასალით წარმოდგენს ქველმოქმედ ძმებ ზუბალაშვილების წარმომადგენელთა ცხოვრება - საქმიანობაზე და მათ დამსახურებაზე შექმნილ უნიკალურ ნაშრომს, რომელიც განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

## მარი ჩაკვეტაძე

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების  
29-ე ფილიალის თანამშრომელი

რუბრიკის სტუმარია თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ბესტსელერის „ბედუინის“ ავტორი - ნეფერტარი (ნინო ჭიპაშვილი). ეს მისი სადებიუტო ნაწარმოებია, რომელიც თავებად ქვეყნდებოდა 4 წლის მანძილზე ლიტერატურულ პორტალ urakparaki.com -ზე. რომანი ფაქტიურად ცოცხლად დაიწერა პირდაპირ მკითხველის თვალწინ. დიდი აღიარება მოჰყვა წიგნის დაბეჭდვასაც, იყო პრეზენტაციები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ავტორი ინტერესით და სითბოთი მიიღეს. ის პროფესიით იურისტი. საბანკო და საკორპორაციო სამართლის სპეციალისტი, რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და სამართლის დოქტორი. ამბობს რომ მისი პროფესია შემოქმედებითია და ინტელექტუა დაფუძნებული. ბებია ასტროფიზიკოსი ჰყავდა, პაპა ისტორიკოსი და გავლენა მართლაც იგრძნობა რომ ამ კუთხით ავტორი ძალიან გათვითცნობიერებულია. წიგნი, ძალიან საინტერესო ამბავს მოგვითხრობს, რომელიც მწერალს ზოგიერთი ეპიზოდი მაინც, აუცილებლად რეალურად უნდა ენახა და განეცადა, რადგან სხვაგვარად ნაწარმოები ასეთი დამაჯერებელი ვერ გამოვიდოდა.

„ბედუინი“ - შემეცნებითი ხასიათისაა. გაცოცხლებულია საჰარის ისტორია, იქაური მომთაბარე ტომების (ტუარეგების) ყოფა, კულტურა და ტრადიციები. მკითხველი მოგზაურობს ფათერაკებით სავსე საჰარაში, სადაც პერსონაჟი ნილ'ნა, რომელიც ქართველი გოგონაა, ტურისტად არის ჩასული, მოულოდნელად დიდ საფრთხეში აღმოჩნდება. მას დიდი გონიერებისა და ნებისყოფის გამოვლენა უწევს რათა სიცოცხლისათვის იბრძოლოს, თავი დააღწიოს მსოფლიოში ყველაზე დიდ უდაბნოს და საქართველოში დაბრუნდეს. თითოეული მიზანსცენა და ეპიზოდი, რასაც წიგნში ვკითხულობთ დაგვაფიქრებს ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე, რომ მიზნის მისაღწევად ბრძოლაა საჭირო, ასევე ცოდნა და რწმენა,



რათა მიზანთან მიხვიდე. და ისიც, რომ „ნამდვილ სიყვარულს არ აქვს კეთილი დასასრული, რადგან ის არასოდეს მთავრდება“.

ქართველი მწერალი, ოტია იოსელიანი ძილის წინ საკითხავ წიგნებზე ამბობდა: „თუ არ ვარგა რა გაკითხებს და თუ ვარგა რა გაძინებსო“. ჰოდა თუ „ბედუინის“ კითხვას შეუდექით, ველარ დაიძინებთ.

საუბარი ჩემსა და ავტორს შორის საინტერესოდ, უშუალოდ და გულწრფელობით წარიმართა.

**რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს მკითხველს მისგან, ავტორი პასუხობს:**

„მე არ ვარ ის ავტორი, რომელიც ბულვარული რომანებით და საჰარის ოპერებით გაართობს მკითხველს. ჩემმა ნაწერმა მათ ცოდნა უნდა დაუტოვოს და ბიძგი მისცეს, უკეთესი მომავლისთვის რომ იბრძოლოს. მიზანი გაიჩინოს და მისკენ ცოდნით აღჭურ-

რვილმა იაროს.

„თუ ადამიანმა ყური გათხოვა, მეტი მოვლა უნდა ნათხოვარს, რამდენ დროსაც ართმევ, იმის ტოლფას სათქმელს თუ არ აძლევ, - ჰგავხარ მათხოვარს!“ - ეს სტროფი ტარიელ ქანტურიას ეკუთვნის. ხოდა, რასაც დაწერ მკითხველის დროდ უნდა ღირდეს... ყველას გულში უნდა იპოვოს ადგილი. ერთმა მკითხველმა მომწერა, ათენიდან სალონიკში ავტობუსით ვმგზავრობდი, გზაში წყალი გამითბა და ის იყო უნდა გადამეჭყია, რომ ნილნა გამახსენდა როგორ იბრძოდა ერთი წვეთი წყლისთვის და აღარ გადავღვარეო“. - ვთვლი რომ წიგნმა შეასრულა თავისი მიზანი იმ მკითხველის გულში.

**რამ შთაგაგონათ შეგქმნათ „ბედუინი“, როდის დაიბადა იდეა?**

„ეგვიპტე შორიდან ყველას უყვარს. მე კი ახლოდან მიყვარს. ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ერთხელ დავრჩი შემთხვევით მართო საჰარაში ღამით, ტურისტულ ჯგუფს ჩამოვრჩი და ღამისთევამ მართო მომიწია. ძალიან შემეშინდა მაშინ, კუნაპეტი ღამე იყო, უმთვარო, უვარსკვლავო და ღრუბლიანი. თვალთან თითის მიტანაზე ფიქრიც არ ღირდა. ვფიქრობდი, ახლა აქ რომ დავიკარგო რა უნდა ვქნა-თქო... ინსპირაციაც აქედან დაიწყო.“

**რამდენად გავხარო „ნილნას“ სიმამაციო?**

„მე არ ვარ ნილნასავით მამაცი. ცოდნა ნამდვილად ჩემი აქვს, მაგრამ მე არ მაქვს მისი სულიერი ძალა. ნილნაც და ტუარეგების დედოფალი ჰილალე ძალიან ძლიერი პერსონაჟები არიან.“

**პროტოტიპი თუ ჰყავს ალ-ქაბირს და თქვენს ცხოვრებაში თუ იყო ასეთი. თქვენს ოჯახზეც გვიამბეთ.**

„ალ-ქაბირს კონკრეტული პროტოტიპი არ ჰყავს. გარეგნობით ბევრი ღამაზი მამაკაცი ემგვანება ალბათ, მაგრამ სხვა თვისებებზე ვერაფერს გეტყვით. მე შევქმენი პერსონაჟი, რომელიც ნამდვილ ვაჟკაცად ითვლება ყველა ერში, დროში და რელიგიაში. ის, ასე ვთქვათ ავ-კარგიანი კაცია, მაღალი ღირსებით, თამდაბალი, განათლებული, წიგნიერი, გონიერი და იმ უნარებით აღჭურვილი, რაც საჰარაში ცხოვრებას ჭირდება... და მას, სამაგიეროს მიზღვაც შეუძლია.“

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, დედასთან ვცხოვრობ, მამა ადრე წავიდა იმ ქვეყნად. ჩემი მეუღლეც გარდაცვლილია. მას მერე ოჯახი არ შემიქმნია. არც ღრმა ურთიერთობებში შევსულვარ ვინმესთან. ვთვლი რომ სიყვარული ნამდვილი და დიდი, ღმერთის წყალობა და უდიდესი ჭილდოა, რომელიც ან გეძლევს ან არა. ვცდებოდი როცა ვთვლიდი რომ ეს ჩემი უფლება იყო. ისეც ხდება ხოლმე, რომ გაქვს რაიმე სანუკვარი და გერთმევა, იმიტომ რომ რაღაც მნიშვნელოვანი ვერ დაინახე, ვერ დააფასე, ყოფით წვრილმანებს გადააყოლე ცხოვრება და მნიშვნელოვანი გაგეპარა.“

**რას ვერ აპატიებდით ადამიანს?**

„ვერ ვაპატიებ სიცრუეს და ორპირობას. უფრო სწორად ვაპატიებ, მაგრამ ახლოს აღარ გავიკარებ. პატიება, ჩემი შეფასებით იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ გულში ბრაზს არ დავიტოვებ, არც სამაგიეროს გადავუხდი, მაგრამ აუცილებლად ვეტყვი რაც დამიშავა და ურთიერთობას შევწყვეტ. „ვგმობ კაცსა უგიანსა, ცრუსა და ღალატისა“ - ჩემი პრინციპია. მადლობელი ვარ უფლის, რომ ასეთები ცოტანი იყვნენ ჩემს ცხოვრებაში, სულ სამნი.“

**როგორი უნდა იყოს ღირსეული ქალი და მამაკაცი?**

„თანამედროვე ღირსეული ქალი უნდა იყოს ნილნას მსგავსი, თანამედროვე მამაკაცი კი - ალ-ქაბირის. ისინი ერთმანეთის პირისპირ კი არა, არამედ მხარდამხარ დგანან და იბრძვიან, როგორც საკუთარი თავის, ასევე ერთმანეთის გადასარჩენად. ჩემს რომანში რომანტიკას ფონის როლი აქვს, რადგან მთავარი სიუჟეტური ხაზი თავგადასავალია. ერთხელ ჟურნალისტმა თამარ ბოლქვაძემ თქვა, ნილნასა და ალ-ქაბირის ურთიერთობა ქართულ ცეკვას ჰგავს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გარშემო სოციუმი არ არის, ხშირად მართო არიან საჰარაში, ერთმანეთის მიმართ ღირსებას პატივს სცემენ და მოწინება ამოძრავებთო.“

**ნაწარმოებში კარგად ჩანს მწერლის რელიგიური მრწამსი. გთავაზობთ ამონარიდს „ბედუინიდან“ „სადაც არაბი ბედუინი ალ-ქაბირი ნილნას ამხნევეს ერთ ერთი განსაცდელის წინ:**

„-შენთვის საჩუქარი მაქვს... ეს გამომა-

რთვი...

-თაფლის სანთელი! საიდან, როგორ!

-სამი წელია ვინახავ...მერგერგესში (წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი კაიროში, რომელიც მისი ბორბალზე წამების ადგილზეა აშენებული) მომცა ერთმა მოხუცმა. ხათრი ვერ გაუტეხე და გამოვართვი. დღიურში ჩავდე და მას აქეთ თან დამაქვს.

სანთელს თაფლის, მირონის და ცვილის სუნი ასდიოდა. აღმოსავლეთისკენ კლდეზე მივამაგრე, ავანთე და მუხლი მოვიყარე. ბედის საჩუქარი იყო, რომ კაიროს წმინდა გიორგის ტაძარში ჩამოქნილი თაფლის სანთელი საპარაში, შაითნის დერეფაში მუსლიმი კაცის ხელით დამენია და ახლა ჩემს წინ ციმციმებდა. ჩუმად ვლოცულობდი განსაცდელის ჟამს. ცრემლი თავისით მდიოდა და არ მეგულებოდა იმ წუთს არავინ, ვინც ჩემსავით ღრმა რწმენით შესთხოვდა მეომარ წმინდანს დახმარებას და გადარჩენას“.

#### **რამდენად ხართ რელიგიური?**

„მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, სვეტიცხოველში მონათლული. ვცდილობ ვიყო ჭეშმარიტი ქრისტიანი. ეს ერთდროულად ადვილიცაა და რთულიც. შემძლია გულწრფელად ვთქვა რომ გამართლებული რელიგიაა. ღმერთთან საუბარი ძალიან ინტიმურია. ეკლესიაში წირვაზე ინტესიურად ვერ დავდივარ, მაგრამ მართოდ თავს არ ვგრძნობ. ვგულისხმობ იმას, რომ ჩემს საკეთებელში მეხმარება ნათელი ძალა რომელიც ხანდახან ძალიან საგრძნობია, ხან სუსტდება, ალბათ მაშინ როცა არასწორ გადაწყვეტილებას ვიღებ და ჩემი ქმედებაც არასწორია. ანუ, ღრმად მჯერა რომ, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

**თანამედროვე თბილისისთვის დამახასიათებელია სნობიზმის გამოვლინება, განსაკუთრებით ხელოვანი და შემოქმედი ადამიანისთვის. როგორ მოქმედებს ეს თქვენზე?**

„არა, სნობი ნამდვილად არ ვარ. ჩვეულებრივი ვარ, არც მდიდარი ვარ და არც განსაკუთრებული. სამართლიანობას, კეთილსინდისიერებას და სიკეთეს ყველზე დიდი ღირებულება აქვს ჩემთვის. გულისხმიერიც ვარ და და მშვიდიც. ყველა მკითხველს

ვპასუხობ ყველა წერილზე. არც თავში მაქვს ავარდნილი და არც ცხვირი ამიწვევია. ეს რომანი ისე იწერებოდა ფსევდონიმით, ჩემი სახელი და გვარი რამდენიმე ადამიანმა იცოდა მთელი 4 წლის განმავლობაში. წიგნად გამოსვლისას გაჟღერდა და ისიც საავტორო გვერდზე. ანუ წიგნიც „ნეფერტარის“ ფსევდონიმით გამოიცა. საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს, ღირებულებების მყარი სისტემა გამაჩნია, რაც დღემდე ვერაფერმა დაანგრია... მეორეცაა, პოპულარობა უფრო მეტს გავალებს, ვიდრე იყო მოყვარული ავტორი. ამიტომ, თუ აკა მორჩილაძე არ ხარ და არ ანათებ, ჯობია ჩრდილში იდგე და მშვიდად შეაფასო შენი ნაწერი იმით, აძლევ რამეს ღირებულს შენს მკითხველს თუ არა...“

#### **რას ურჩევდით ახალბედა მწერლებს, რა არის მთავარი წარმატებისათვის?**

„ახალგაზრდა მწერლებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტი იკითხონ და ბევრი წერონ. რადგან კითხვას სწავლობენ კითხვით და წერას სწავლობენ -წერით. მაქსიმალურად ერიდონ პლაგიატს და სხვებსაც მკაცრად მიუთითონ ამაზე. რაც არ უნდა მოგეწონოს სხვისი ნაწერი, ის სხვისი ინელექტუალური საკუთრებაა და მისი ქურდობა ისევე დაუშვებელია, როგორც ნივთის, ფულის ან სხვა ქონების. სადაც იწყება სხვისი საავტორო უფლებების შელახვა, ზუსტად იქ მთავრდება შენი შემოქმედებითი თავისუფლება“.

#### **ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს რაში ხედავთ, რომ უკეთესი იყოს ჩვენი ყოფა?**

„არსებული სიტუაციიდან გამოსავალს ვხედავ განათლებაში, ცოდნის გამოყენების უნარში, ერთიანობასა და თავდადებულ შრომაში. როცა საპროტესტო აქცია აუცილებელია, ის უნდა შედგეს, რათა ხელისუფლებას ზუსტად უთხრა სათქმელი და დაპირების შეუსრულებლობაზე პასუხი მოთხოვო. ვფიქრობ, როცა ხელისუფლებაში ამჟამად მყოფი ჩემი თაობა, ახალგაზრდა თაობით ჩანაცვლდება, ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართება. მე სტუდენტებს ვასწავლი და უსაზღვროდ მჯერა მათი მიზნების, ნიჭის, უნარების და ეს ჩემი ბედნიერებაა.“

**ქრონიკა**

**საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები**


**25 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა კონსტანტინე კანდელაკის წიგნის „ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე“ წარდგენა. კონსტანტინე კანდელაკი (1883-1958) იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაწრობა-მრეწველობის მინისტრი. იგი 1921 წელს პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, სადაც ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ საქმიანობას. წიგნი მოიცავს დოკუმენტებს ემიგრაციაში მყოფი პირველი რესპუბლიკის მთავრობის მუშაობას 1952 წლამდე.

**26 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკამ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლმა წარადგინა 1936-2000 წლებში თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, მთარგმნელისა და პოეტის ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მაღაყმაძის) წიგნი, რომელიც გამოიცა როზეტა გუჯჯიანის, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის ხელმძღვანელის გიორგი ირემაძის და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილის, ეთნოლოგის


დოქტორ მირიან ხოსიტაშვილის ავტორობით.

**11 ივლისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიიღო საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი ორი ქართველი ემიგრანტის დისიდენტური არქივები. არქივები ეკუთვნის ალექსანდრე მანველაშვილს (1904-1997) და ვალერი ჭილაძეს (1938-2018). ორივე არქივში წარმოდგენილია ემიგრანტების პირადი ბიბლიოთეკები, სამუშაო მასალები. არქივების საქართველოში ჩამოტანა გადაწყდა ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლების გიორგი კეკელიძის, ლევან თაქთაქიშვილისა და მაია სიმონიშვილის ამერიკაში მივლინების შედეგად. ორივე ემიგრანტის საარქივო მასალები დამუშავდება ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში.

**9 აგვისტოს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ილიას უნივერსიტეტს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგა ზედანიამ. მემორანდუმი ითვალისწინებს საბიბლიოთეკო ფონდე-



**25 ივნისი**



**11 ივლისი**



11 ივლისი



9 აგვისტო

ბის კვლევასა და ერთობლივი დიგიტალური პროექტების განხორციელებას.

**14 აგვისტოს** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმმა გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად ამბროლაურის მთავარ ბიბლიოთეკაში გახსნა თანასწორობის კუთხე. აქვე მოეწყო ახალგაზრდობის ინტერესების შესაბამისი ბიბლიოთეკაც.

**15 აგვისტოს** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა ეკვილიბრიუმი სოფელ ნავაზს ესტუმრა და ახალი წიგნები ჩაუტანა. ნავაზის ბიბლიოთეკამდე მოძრაობის წარმომადგენლები ძმები ქართველიშვილებიუს ტაქსით მივიდნენ.

**22 აგვისტოს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას სტუმრად ეწვივნენ კოლორადოს შტატის საჯარო ბიბლიოთეკის, Pikes Peak Library District გენერა-

ლური დირექტორი ჯონ სპირსი და ამერიკის საელჩოს საინფორმაციო რესურსების სპეციალისტი, ამერიკული კუთხეების კოორდინატორი საქართველოში ქეთევან ასათაშვილი. ჯონ სპირსმა ქართველი სპეციალისტებისათვის ამერიკის საელჩოში წაიკითხა ლექცია თემაზე „საბიბლიოთეკო პროგრამები, ინტელექტუალური თავისუფლება და მკითხველთა უფლებები“.

**3 სექტემბერი** - გამოიცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი „საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმები“ ტ. 6. გამოცემა საინტერესოა ისტორიის მკვლევართათვის. გამოცემის ელექტრონულ ვერსია ხელმისაწვდომია ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალურ ვებგვერდზე.

**9 სექტემბერი** - გამოიცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის




22 აგვისტოს



3 სექტემბერი



19 სექტემბერი



9 სექტემბერი

მიერ შედგენილი სერიის „საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელები“ მორიგი ტომი. ტომი აერთიანებს ზურაბ ჭვანიას ოფიციალურ განცხადებებს, გამოსვლებს და ინტერვიუს.

**12 სექტემბერი** მოძრაობა ეკვილიბრიუმის წარმომადგენლები შატილს ესტუმრნენ, სადაც საოჯახო სასტუმრო სულფონში მოაწყვეს ბიბლიოთეკა. მოძრაობის მხარდამჭერია გალფი.

**19 სექტემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნის „რულ ჩილაჩავა - ბიობიბლიოგრაფია“ წარდგენა შემდგენელ-რედაქტორია მაია მიქაბერიძე.



12 სექტემბერი



